# გილოცავთ ფერისცვალებას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 19 აგვისტო, 2011 №196 (5577) ფასი: 30 თეთრი

## ცხინვალში დიდი ცემა-ტყეპა დაიწყო

— გვ.3 —

პრეზიდენტობის კანდიდატი დეპუტატის ცემისთვის დაიჭირეს

## შამბას აფხაზი ვეტერანები გადაეკიდნენ გვ.3



„ამცახარა“ საგანგებო განცხადებას ავრცელებს

### პაატა ჯიბლაძე: სააკაშვილმა ინგილო სტუდენტებს საქართველოს მოქალაქეობა არ მისცა



გვ.5

### მოვითხოვთ, 23 წლის მომაკვდავი პატიმარი გაათავისუფლოთ!



გვ.4

ციხეებში ტუბერკულოზის ეპიდემიამ პიკს მიაღწია



გვ.2

### ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილის ხელისუფლება ანტირუსულ ისტერიაზე დგას“



გვ.6

### გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი ჩვენი უზნეობის შედეგია“

გვ.2 **რაჭაში 5,5 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა**



### ზაზა სვანაძე: რეჟისორია სტურუა, „მხედრიონელი“ — რურუა!

გვ.8

### სტურუას მოხსნამ ხელისუფლება კიდევ უფრო დააპატარავა

გვ.8

### სტურუას მხარდამჭერი აქციები გვ.8 გაგრძელდება



## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** ახალგორში ქართული სკოლები იხურება

**5** გიორგი ჭანტურიას დღეს 52 წელი შეუსრულდებოდა

**6** ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის ჩაბარების საკითხი გაურკვეველია

**7** პრეზიდენტს ხალხი არ ადარდებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი ჩვენი უზნეობის შედეგია“

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ
გოგა ხაინდრავასთან**

***— ბატონო გოგა, როგორ შეაფასებთ რობერტ სტურუას მოხსნას?***

— მთელი სააკაშვილის გუნდის მოღვაწეობა არის მიმართული იქით, რომ ისტორია დაამარცხონ. ესენი ებრძვიან წარსულს, ეს არის უგუნური საქციელი და ამ უგუნურებამ მიიყვანა ეს ქვეყანა იმ ზღვრამდე, რა ზღვარზეცვართ მისული ახლა. რობერტ სტურუას დიდებას ვერც რურუები, ვერც სააკაშვილები და ვერც მერაბიშვილები ვერასოდეს ვერაფერს უზამენ, იმიტომ რომ ეს უკვე შედგა, ეს არის ისტორიული ფაქტი და როგორ შეიძლება, ისტორიას ებრძოლო?! ყველაზე დიდი უბედურება საზოგადოების პოზიციაა, თორემ სააკაშვილისგან რას უნდა ელოდებოდე.

***— მისი გამონათქვამების გამო მოვხსენიო, ასეთია რურუას განცხადება...***

— სააკაშვილი და რურუა რომ ქსენოფობიაზე ილაპარაკებენ, წარმოგიდგენიათ?! სისხლში აქვთ გასვრილი არა მარტო ხელები და მკლავები, არამედ ყელამდე სისხლში არიან, კონკრეტული ადამიანების სისხლში. ეს არ არის საზოგადოდ ნათქვამი, მაგათ კონკრეტული ადამიანები ჰყავთ მოკლული. ახლა ნაციონალებზე ლაპარაკს აზრი არ აქვს და არც ვფიქრობ, რომ ეს რაიმე გონივრული ქმედება იყოს. აქ ლაპარაკია საზოგადოებაზე. ჩემთვის სრულიად გასაოცარია, რაც ხდება ამ ქვეყანაში, იმიტომ რომ მე მაინც ვფიქრობდი, ქართველები ღირსების მატარებელი ერი იყო ყოველთვის, მთელი ისტორიის მანძილზე.

***— სად გაქრა ეს ღირსება?***

— არ ვიცი, ეს არის ყველაზე გამაოგნებელი ჩემთვის და აბსოლუტურად გაუგებარი. არსებობენ ცალკეული ადამიანები, რომლებიც ამ ღირსების მატარებლები არიან და ყოველთვის იარსებებენ, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მხოლოდ ცალკეული ადამიანების ღირსება და ძალისხმევა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ერმა გააღწიოს სამშვიდობოს და ქვეყანამ. ქვეყანა ისპობა. მე ვთვლი, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, მსოფლიო რუკიდან წაშლილია უკვე, იმიტომ რომ აღარავის ინტერესს აღარ წარმოადგენს. პოლიგონად გადაგვაქცია სააკაშვილმა და დავალება ასეთიც ჰქონდა ამ ხელისუფლებაში მოსულ ორ ჯგუფს. ერთი ჯგუფი რუსეთის სამსახურში დგას და მეორე — ამერიკის სამსახურში. არც ერთ და არც მეორე ქვეყანას არ ადარდებს არც ჩვენი ერი, არც ჩვენი წარსული, არც ჩვენი აწმყო და არც ჩვენი მომავალი. ეს მზაობა სხვისი ინტერესების მსახურების, სულის გაყიდვის, ენის გაყიდვის, სამშობლოს გაყიდვის, მიწის გაყიდვისა და ყველაფრის გაყიდვის, ეს მზაობა, მონობისა და მორჩილების, რომელიც ქართველ საზოგადოებაშია, გამაოგნებელია. ისეთი შთაბეჭდილება მექნება, რომ მხოლოდ იმიტომ არ ახორციელებენ ამას კონკრეტული პიროვნებები, რომ არ სთავაზობენ და შესთავაზებენ თუ არა, იმ წუთში არიან მზად, რომ ამ უბედურებას გვერდში ამოუდგნენ და მთელი სულისკვეთებით ემსახურონ.



ამის ყველაზე ნათელი მაგალითები არიან მოსამართლეები, მანდატურები, პოლიციელები, საჯარო მოხელეები. გუშინ ვიყავი ერთ-ერთ სასამართლოზე. ორი ახალგაზრდა კაცი იყო პროკურორი და ისეთი გულგრილობით, ისეთი ცინიზმით იმეტებენ უდანაშაულო ადამიანებს მრავალწლიანი ტანჯვისთვის, რომ წარბიც არ ეხრებათ. ასეთ ადამიანებს მერე ხელს ართმევენ, ემეგობრებიან, უცინიან. ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი დანაშაული, რომ თავის დროზე არც საბჭოთა წყობილებას და არც შემდეგ ყველა რეჟიმს, რომელიც საქართველოში იყო, არ გამოვუტანეთ სამართლიანი განაჩენი.

***— რას გულისხმობთ?***

— არ გამოვუტანეთ განაჩენი მათ ნამოქმედარს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ციხეებში უნდა ჩაგვესვა ადამიანები, მაგრამ უნდა გვეთქვა, რომ კომუნისტური პარტია იყო ბოროტება. ეს იყო სულგაყიდული, სულწაწყმედილი ადამიანების თავყრილობა. ეს რომ გაგვეკეთებინა, ჯერ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ არ შეიქმნებოდა, სადაც, მიუხედავად კარგი იდეის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და სხვადასხვა ძალიან ხმამაღალი ლოზუნგებისა, უამრავმა ნაძირალამ მოიყარა თავი, რომელიც პირდაპირი გაგრძელება იყო კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობისა. მერე ეს არ გარდაიქმნებოდა მოქალაქეთა კავშირად და მერე მოქალაქეთა კავშირი არ გარდაიქმნებოდა ნაციონალურ მოძრაობად, იმიტომ რომ ეს ერთი და იმავე ადამიანებისგან შედგენილი, ერთი და იმავე მსოფლმხედველობის, აზროვნებისა და ზნის ხალხის თავყრილობაა!

***— ჩვენს ერშია პრობლემა?***

— რა თქმა უნდა და თანაც ძალიან მძიმე, იმიტომ რომ სააკაშვილი არის შედეგი. სააკაშვილი არ არის მიზეზი იმისა, რაც ჩვენ გვჭირს, სააკაშვილი არის შედეგი! რომ არა ჩვენი უზნეობა, ასეთი გარყვნილი ლიდერი არ გვეყოლებოდა. სწორედ ეს არ ესმით ჩვენს მეგობრებს და ამას იყენებენ ჩვენი მოწინააღმდეგეებიც, ეს ცხვრის ტყავში გახვეული ვითომდა მეგობრები, ისეთები, როგორიც არის, მაგალითად, ცეკას მდივანი ბასი საქართველოში და უამრავი ის ვითომდა მეგობარი, რომელიც დაინტერესებულია ვითომდა საქართველოში დემოკრატიის განვითარებით და რას ნიშნავს მაგათთვის დემოკრატიის ფასი, ყველამ კარგად დავინახეთ. ჩემი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის უფრო მარტივი ასახსნელია, რას წარმოადგენს რუსული საფრთხე. ეს მარტივია, გავიყვან აგერ გორთან და ვაჩვენებ ტანკებს და ვაჩვენებ მავთულხლართებით შემოღობილ საქართველოს მიწას და ვეტყვი, რომ ეს არის ოკუპაცია, ესენი არიან ოკუპანტები, რომლებიც ცდილობენ, დააქუცმაცონ ეს ქვეყანა. მაგრამ როგორ ავუხსნა ის სიბილწე, ის მუხანათობა, ის ფარისევლობა, რომლითაც ბასია საქართველოსი მოსული და რომელიც უფრო მეტ ზიანს აყენებს ჩემს ქვეყანას, ვიდრე რუსული ტანკები?! მე დროში გავრცობილი პროცესი მაქვს მხედველობაში. თუ რა შედეგს მოიტანს ბასის მოღვაწეობა საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის და ჩვენთვის, როგორც ერისთვის. სად უფრო დიდი საფრთხეა, ეს ყველამ თავისთვის განსაჯოს.

***— რამ უნდა გამოაფხიზლოს ერი?***

— არ ვიცი. ის, რაც მოხდა დედაეკლესიასთან მიმართებით, გრიგალი იყო, მაგრამ მაგანაც ვერ გამოაფხიზლა ეს ხალხი და არ ვიცი... მე ვფიქრობ, რომ ამ ქვეყანას ღმერთი მართავს, უფალი მართავს ყველაფერს და მაინც ისე მოხდება, როგორც მისი სურვილია და არა — როგორც ამ მკვლელების სურვილი.

## დღეს ფერისცვალებაა



დღეს მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს. დღესასწაულთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა 09:00 საათზე დაიწყება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საზეიმო წირვა-ლოცვას სამების საკათედრო ტაძარში აღავლენს.

ფერისცვალების დღესასწაული 12 უდიდეს დღესასწაულთა რიცხვში შედის და მაცხოვრის სასწაულთა შორის განსაკუთრებულია. წამებამდე რამდენიმე ხნით ადრე მაცხოვარმა წაიყვანა თავისი სამი მოწაფე — პეტრე, იაკობი და იოანე. მათთან ერთად განმარტოვდა მაღალ მთაზე და იწყო ლოცვა. დაღლილ მოციქულებს მიეძინათ. როცა გამოიღვიძეს, დაინახეს, რომ მათ მოძღვარს, — იესო ქრისტეს ფერი ეცვალა: სახე მზესავით უბრწყინავდა, სამოსელი კი თოვლივით თეთრი ჰქონდა. მასთან გამოცხადებულიყვნენ მოსე და ილია წინასწარმეტყველნი, რომელნიც საუბრობდნენ იმ საშინელ წამებასა და ქვეყნიურ სიკვდილზე, ქრისტეს რომ ელოდა. როცა მოსე და ილია შორდებოდნენ ქრისტეს, მოულოდნელად ბრწყინვალე ღრუბელმა გაანათა ისინი და მოესმათ ზეციური ხმა: ესე არს ძე ჩემი საყვარელი. მაგისი ისმინეთ„. მოწაფენი შიშით დაემხნენ მიწაზე. იესო მივიდა მათთან, შეეხო და უთხრა: ადექით, ნუ გეშინიათ„. გამხნევებული მოწაფენი ადგნენ და დაინახეს თავიანთი მოძღვარი ჩვეულებრივი სახით.

მაცხოვარმა ფერისცვალება ინება იმისთვის, რომ ცხადად ეჩვენებინა მოციქულთათვის და ყველა მორწმუნისთვის საიდუმლო მომავალი ცხოვრებისა.

ფერისცვალების ნათელი ხატებზე წმინდანთა თავზე დამდგარი შარავანდედის სახით გამოისახება. იგია ძვირფასი გვირგვინი, რომლითაც უფალი სულიერ ბრძოლაში გამარჯვებულთ აჯილდოვებს.

ფერისცვალებას ხილის კურთხევა ხდება, რითაც განიწმინდება ადამის ცოდვით შებილწული ხილი და იგი იბრუნებს იმ სიწმინდეს, რომლითაც მოსილი იყო ედემის ბაღში.

**მედიანიუსი**

## რაჭაში 5,5 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა

რაჭაში 5,5 გუშინ მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. ამის შესახებ ინფორმაციას სეისმური მონიტორინგის ცენტრი ავრცელებს.



მიწისძვრა ამბროლაურიდან დასავლეთით 13 კმ-ში, სოფელ ბაჯში 10 მკ. სიღრმეზე მოხდა. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მიწისძვრას ნგრევა არ მოყოლია.

**ინტერპრესნიუსი**

## მიწისქვეშა ბიძგები ქვემო სვანეთშიც იგრძნობოდა

მიწისქვეშა ბიძგები ქვემო სვანეთშიც იგრძნობოდა.

ამის შესახებ „პირველს“ ადგილობრივებმა აცნობეს.

მათი ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგები ლენტეხის რაიონსა და მის შემოგარენში არსებულ სოფლებში არც ისე მძლავრი იყო და შედეგად არც ვინმე დაზარალებულა.

**პირველი**

## ახალგორში ქართული სკოლები იხურება

სექტემბრიდან ახალგორის რაიონში ყველა ქართული სკოლა დაიხურება და მხოლოდ რუსული გაიხსნება. ამის შესახებ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ახალგორის მაცხოვრებლებმა აცნობეს.

— ახალგორში ახალი გზები უკვე დაიგო. სკოლები და საავადმყოფო ახლა რემონტდება. იქ უახლესი ინვენტარისა და აპარატურის შემოტანას აპირებენ. სექტემბრიდან ახალგორსა და მის 50-ზე მეტ სოფელში ქართული სკოლები დაიხურება და მხოლოდ რუსული გაიხსნება. სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებულებს თვეში 1000 ლარამდე უხდიან. ხალხი საკმაოდ კმაყოფილია, — განაცხადა ახალგორის რაიონში მცხოვრებმა ნონა მესხაძემ.



ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთო ყოჩიაშვილი ქართული სკოლების დახურვას არ გამორიცხავს. რაც შეეხება სკოლების რეაბილიტაციას, ამბობს, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. ახალი გზის მშენებლობა რუსებმა სოფელ ყანჩაეთიდან დაიწყეს და მალე ახალგორამდე მივლენ. საავადმყოფოსაც რომ არემონტებენ, ეგეც ვიცი. რაც შეეხება სკოლების რემონტს, ინფორმაცია არ მაქვს. შეიძლება სადმე ერთი ბანკა კრასკა„ მიასხეს, არ ვიცი. არც ქართული სკოლების დახურვას გამოვრიცხავ, კოკოითი თავის გეგმებს არ გვითანხმებს, — აღნიშნა ყოჩიაშვილმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ცხინვალში დიდი ცემა-ტყეპა დაიწყო

## პრეზიდენტობის კანდიდატი დეპუტატის ცემისთვის დაიჭირეს

თეა მარხვაი ე

**ცხინვალის რეგიონში საარჩევნო ციებ-ცხელების დაწყებას სექტემბრიდან ვარაუდობდნენ. თუმცა, რადგან, სიკვდილის გარდა, ყველაფერი ნაადრევი ჯობია, ოსებიც ადრიანად შეუდგნენ საქმეს და ერთი სკანდალიც უკვე აგორდა. საინფორმაციო სააგენტო „ოსინფორმის" ცნობით, 17 აგვისტოს ღამით თავს დაესხნენ დეპუტატ ალიკ პლიევს. საინტერესო ის არის, რომ თავდასხმა ოს დეპუტატზე მისსავე საცხოვრებელ სახლში განხორციელდა. ოსურ პარლამენტში ის სახალხო პარტიის სიით მოხვდა.**

მის ცემა-ტყეპასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება სახალხო პარტიამ გაავრცელა. აღშფოთება ოსმა დეპუტატებმაც გამოთქვეს.

სახალხო პარტიის ცნობით, თავდამსხმელები განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით მოქმედებდნენ.

— ამ თავდასხმით მათ მთელი საზოგადოება გამოიწვიეს, რადგან ალექსანდრე პლიევი ცნობილი ექიმი და სამაგალითო პიროვნებაა, — ნათქვამია ოსური სახალხო პარტიის განცხადებაში.

ნაცემი დეპუტატი ამჟამად ცხინვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადის მკურნალობის კურსს. როგორც ოსური მედია იუწყება, პლიევს რამდენიმე ნაკერი დაადეს.

„ოსინფორმის" ცნობით, დეპუტატს სახლში სამი კაცი შეუვარდა. ერთ-ერთი მათგანი ალან კოჩიევი გახლავთ და ყველაზე საინტერესო ამ ისტორიაში სწორედ ეს გახლავთ.

ალან კოჩიევი ოსეთში ცნობილი პოლიტიკოსია. მან თანამოაზრეებთან ერთად ცოტა ხნის წინ დააფუძნა მოძრაობა „რუხს ფიდან". ოსი ბლოგერების ცნობით, ის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობას.

არჩევნები 13 ნოემბერს ჩატარდება. მიიღებს თუ არა კოჩიევი არჩევნებში მონაწილეობას, ძნელი სათქმელია — კოჩიევი სამართალდამცავებმა დააკავეს, დეპუტატ პლიევის ცემასთან დაკავშირებით კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ცხინვალში ამბობენ, რომ კოჩიევს ამ ინციდენტთან კავშირი არა აქვს. ჩვენებურად რომ ვთქვათ, მას ეს ამბავი ხელისუფლებამ გაუჩალიჩა. აქ პირველი შემთხვევა არ არის, როცა



კოკოითის კონკურენტები ციხეში ხვდებიან.

ასეთი დაპატიმრებები აქ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამჯერად დაკავება არჩევნების წინ მოხდა, ამას დიდი რეზონანსი მოჰყვება.

ეჭვებს გამოიწვევს ის ფაქტიც, თუ რატომ მაინცდამაინც სახალხო პარტიის წევრი სცემეს. პარლამენტში მოხვედრილი სახალხო პარტია ნამდვილ სახალხო პარტიას უკანონოდ აქვს გამოცხადებული. სწორედ ამ ცრუ სახალხო პარტიის გამო ითხოვს ოპოზიცია პარლამენტის დაშლასა და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას.

საპარლამენტო არჩევნები ბოლოს აქ 2009 წლის გაზაფხულზე ჩატარდა. მასში მონაწილეობა სახალხო პარტიასაც უნდა მიეღო. მაგრამ ცესკოში განაცხადი მათ მაგივრად სხვა სახალხო პარტიამ შეიტანა. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე თვის წინ როლანდ ქელეხსაევმა რუსეთის პრეზიდენტსაც გაუგზავნა წერილი.

ქელეხსაევი ნამდვილი სახალხო პარტიის თავმჯდომარე გახლავთ. ის და მისი პარტია კარგა ხანია კოკოითის ოპოზიციაში იმყოფებიან. 2009 წლის არჩევნებშიც აპირებდნენ მონაწილეობას.

— ცესკოში არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განაცხადი უნდა შეგვეტანა. ოფისში ვიყავით, როცა რამდენიმე ათეული ავტომატიანი და ნიღბიანი სპეცრაზმელი შემოვარდა. მათ იქაურობა დაარბიეს. ჩვენ კი გარეთ გასვლის უფლება არ მოგვცეს. ამასთან, არც ის განგვიმარტეს, თუ რატომ შემოცვივდნენ ჩვენთან. ეს მიზეზი მოგვიანებით გავიგეთ. ცესკოში ჩვენ ნაცვლად სხვა სახალხო პარტიამ შეიტანა განაცხადი. არჩევნებშიც მათ მიიღეს მონაწილეობა. ამიტომ არის ეს არჩევნები და პარლამენტი უკანონო. სამართლიანობის აღდგენაში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, — წერდა მედვედევისადმი მიწერილ წერილში ქელეხსაევი.




უპასუხა თუ არა მედვედევმა ქელეხსაევის უსტარს, ამაზე ოსურ მედიას არაფერი დაუწერია. პარლამენტში ცრუ სახალხო პარტია დარჩა, რომელსაც 17 აგვისტოს ღამით დეპუტატი გაულახეს.

2009 წელს არჩეულ პარლამენტს, როგორც ჩანს, ნამდვილი ოსური სახალხო პარტიის ცოდვა არ ახარებს, რადგან ამ მოწვევის პარლამენტის დეპუტატები უკვე რამდენჯერმე გალახეს.

ცოტა ხნის წინ პარლამენტში შეიარაღებული რაზმი შეიჭრა. ეს მაშინ მოხდა, როცა კოკოითის მესამე „სროკზე" წასვლის საკითხი წყდებოდა. საინიციატივო ჯგუფმა, რომელსაც სათავეში თავდაცვის მინისტრის მოადგილე იბრაგიმ გასიევი ედგა, ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

მათ ხელმოწერები რეფერენდუმის ჩატარების თხოვნით შეაგროვეს. რეფერენდუმზე კი კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის საკითხი უნდა დამდგარიყო. საუბარია მუხლზე, სადაც ერთსა და იმავე პიროვნებას სამი ვადით კენჭისყრის უფლება მიეცემოდა.

რეფერენდუმის ჩატარებისთვის საჭირო ხელმოწერები შეგროვდა. ამის მიუხედავად, უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა. ამის შემდეგ გასიევის ხალხი პარლამენტში შეიჭრა. ისინი დეპუტატებისგან სასწრაფოდ სხდომის მოწვევასა და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას ითხოვდნენ.

როგორც ოსური მედია წერდა, შეიარაღებულმა პირებმა (თავდაცვის და შს სამინისტროს თანამშრომლებმა) დეპუტატებს მობილურები წაართვეს. სამმა დეპუტატმა პროტესტის ნიშნად უფლებამოსილება შეიჩერა. ზევიდან ჩარევის შემდეგ შეიარაღებული პირები პარლამენტიდან წავიდნენ.

გენპროკურატურაში მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. თავდამსხმელთა ვინაობა ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ დააკავეს. ამის შემდეგ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ დეპუტატების შევარდნის უკან კოკოითი იდგა.

გასული წლის 26 ივლისს ცხინვალში სასტიკად სცემეს ოს დეპუტატ თემურ ცხოვრებოვს. ის ოსურმა საზოგადოებამ, როგორც საველე მეთაური, ისე გაიცნო. ცხოვრებოვი აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-ოსურ კონფლიქტში.

რაღაც დროის შემდეგ მან „კალაშნიკოვი" გვერდზე გადადო და ჟურნალისტობა დაიწყო. ის გახლავთ გაზეთ „21-ე საუკუნის" მთავარი რედაქტორი. ცნობისათვის, „21-ე საუკუნე" ცხინვალში მოქმედი ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთია. ოსებმა ცნობილი ჟურნალისტი და ექს-ბოევიკი იმიტომ გაიგდეს წიხლქვეშ, რომ ის ქართველებთან დიალოგზე წავიდა.

ახლა მთლად ისე ნუ იფიქრებთ, რომ ოსი დეპუტატები მოკრივის „გრუშის" მოვალეობას ასრულებენ. ვიღაცებს ზოგჯერ ისინიც სცემენ ხოლმე. ასეთი ინციდენტი ამ ზამთარს მოხდა. დეპუტატმა და ცნობილმა საველე მეთაურმა ბალა ბესტაუთიმ ცხინვალის ცენტრში ჯანდაცვის მინისტრი გაიგდო წიხლქვეშ.

ინციდენტის წინა დღეს დეპუტატის ცოლს დაატოვებინეს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტი. ეს საკადრო გადაწყვეტილება თავისუფალმა ოსურმა მედიამ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მონათლა.

საქმე ის გახლავთ, რომ ბესტაუთიმ პარლამენტის სხდომაზე ღიად დაუჭირა მხარი კოკოითის მთავარ ოპონენტ ძამბოლატ თედეევს. დეპუტატები პრეზიდენტის მოთხოვნით მის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებას აპირებდნენ.

---

# შამბას აფხაზი ვეტერანები გადაეკიდნენ

## „ამცახარა" საგანგებო განცხადებას ავრცელებს

**კიტოვანის წყალობით დაწყებულ აურზაურს ბოლო არ უჩანს. სერგეი შამბას ეგონა, რომ ამ ინტერვიუთი თავის კონკურენტ ანქვაბს შავ პიარს აუგორებდა. სინამდვილეში, თავად „გაშავდა". აფხაზური საზოგადოება ახლა იმას კითხულობს, რა ესაქმებოდა შამბას საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრ კიტოვანთან.**

თეა მარხვაი ე

აფხაზური საზოგადოების გაღიზიანება 15 აგვისტოს სოხუმის ფილარმონიასთან გამართულმა აქციამ გამოიწვია, სადაც კიტოვანით გაჯერებული ვიდეო-რგოლი აჩვენეს. რამდენიმე ვეტერანმა იქ ანქვაბი გამოლანძღა, გავლენიანმა ვეტერანებმა კი შამბას დასდეს ბრალი.

საქმეში ჩაერთო აფხაზ ვეტერანთა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი გაერთიანება „ამცახარა". ეს ორგანიზაცია 1992-1993 წლების ომის ვეტერანებს აერთიანებს.ამ გაერთიანებამ ღიად გააკეთა განცხადება, რომ მხარს უჭერს ანქვაბის კანდიდატურას.

სააგენტო „აპსნიპრესის" ცნობით, „ამცახარამ" არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს ურთიერთპატივისცემისა და ბინძური მეთოდების გამოუყენებლობისკენ მოუწოდა.

აფხაზი და რუსი ექსპერტების შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში შამბა ბინძური მეთოდების გამოყენებით გამოირჩევა.

შამბას თანაგუნდელების მსგავსად, „ამცახარამაც" მიმართა გენპროკურატურას, ოღონდ, ისინი იმის გარკვევას არ ცდილობენ, მართლა თანამშრომლობდა თუ არა ანქვაბი ქართულ დაზვერვასთან.

„აპსნიპრესის" ცნობით, საქმის აღძვრას იმ პირების მიმართ ითხოვენ, რომლებიც ბინძური მეთოდებით იბრძვიან.

— 15 აგვისტოს შამბას მომხრეებმა სოხუმის ცენტში თეატრალიზებული შოუ გამართეს, რომლის მიზანიც აფხაზეთის მოსახლეობის ერთ-ერთი კანდიდატის, ალექსანდრე ანქვაბის წინააღმდეგ ამხედრება იყო, — ნათქვამია „ამცახარას" განცხადებაში.



ვეტერანები ამბობენ, რომ ანქვაბს აფხაზეთისთვის არასოდეს უღალატია და არც მის წარსულს მიიჩნევენ გამოსაძიებლად.

„ამცახარასგან" განსხვავებით, ფილარმონიასთან გამართული ღონისძიებით ძალიან კმაყოფილი დარჩა სერგეი შამბა. სოხუმის ტელევიზიით გამოსვლისას მან მიმართა აფხაზეთის გენპროკურატურას. შამბას აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს იმ ფაქტების შესწავლა, რომლებზეც კიტოვანი საუბრობს.

როგორც ჩანს, შამბას ამით ვეტერანების მხარდაჭერის მოპოვება სურს. მას მხარს აფხაზეთში მოქმედი არც ერთი ვეტერანთა გაერთიანება არ უჭერს. არადა, მას ომის დროს თავდაცვის სამინისტროში მაღალი თანამდებობა ეკავა. ცოტა ხნის წინ კი იმით „წაიბლატავა", ქართველების წინააღმდეგ ჯერ კიდევ ომამდე ვქმნიდი შეიარაღებულ რაზმებსო.

ქართველი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ასეთი ქმედებებით შამბამ შეიძლება ვეტერანები მთლიანად გადაიკიდოს.

— თავისი განცხადებებით შამბა თავის წინასაარჩევნო კამპანიაში ეწინააღმდეგება არა მარტო ანქვაბს, არამედ ვეტერანთა გაერთიანებებსაც. ამავე დროს, არც ერთი ვეტერანთა ორგანიზაცია შამბას მომხრეების სიაში დაფიქსირებული არ არის და ეს, იმის მიუხედავად, რომ ომის დროს ის ირიცხებოდა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, — აცხადებენ „ექსპერტთა კლუბში".

ჩვენი ექსპერტები შამბას ასეთ გამოხდომებს მისი მომხრეების სიმცირით ხსნიან. მიაჩნიათ, რომ შამბა ნერვიულობს და ნერვიულობის ნიადაგზე აკეთებს სისულელეებს. მხარდამჭერებს რაც შეეხება, მას საკმაოდ საინტერესო კონტინგენტი უჭერს მხარს.

— შამბას მხარს უჭერს სომეხ ბიზნესმენთა ის ნაწილი, რომელიც მასთან ერთად დიდი ხანია ჩრდილოვან ბიზნესს ეწევა, ასევე კაზაკები, „რუსეთის ოფიცრები" (აფხაზეთში ასეთი ორგანიზაცია არსებობს) და ახალგაზრდობის ნაწილი, — განმარტავენ ქართველი ექსპერტები.

მათი თქმით, შამბა და მისი მოსკოველი მფარველები ყველაფერზე წავლენ მთავარი მიზნის მისაღწევად. ამ მთავარ მიზანს კი პრეზიდენტის სავარძელი ჰქვია. რუსულ მედიასთან საუბარში კანდიდატმა პირდაპირ თქვა, რომ არჩევნებში გამარჯვებას თუ ვერ ველირსე, რევოლუციას მოვაწყობო.

არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის კი ადგილობრივი ცესკო სათანადო თადარიგს იჭერს. ამასთან დაკავშირებით ცესკოს თავკაცმა ვიაჩესლავ ცუგბამ საგანგებო განცხადება გააკეთა.

„აპსნიპრესის" ცნობით, 26 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნებს უცხოელი დამკვირვებლები დაესწრებიან. ცუგბას თქმით, არჩევნებზე დასასწრებად რუსეთის დუმის დეპუტატებიც ჩამოვლენ. არჩევნებზე დასაკვირვებლად ევროპისა და აფრიკის ქვეყნების დეპუტატებიც მოიწვიეს. რუსების გარდა, თანხმობა ოფიციალურად ჯერ არავის განუცხადებია.

---

# ალასანია ლენტეხის მოსახლეობას შეხვდა

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია ლენტეხის რაიონის მცხოვრებლებს შეხვდა.

— სვანეთის მცხოვრებლების უმეტესობა დაუსაქმებელია. სახელმწიფო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ ზრუნავს იმაზე, რომ გლეხს დაეხმაროს, იმ ადამიანებს დაეხმაროს,



ვინც შრომობს მიწაზე, რომ თავისი მძიმე შრომით ოჯახი არჩინოს. ამის საშუალება დღეს სვანებს არ აქვთ. სვანეთის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა ისეთივე დანგრეულია, როგორც მთელ საქართველოში. ამიტომაც არის აუცილებელი ცვლილება სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ჩვენ გვჭირდება გლეხების რეალური მხარდაჭერა, რეალური მხარდაჭერა სასუქით, შხამ-ქიმიკატებით, რომ ადამიანებს შემოსავალი ქონდეთ და შიმშილი არ ემუქრებოდეთ, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ ლენტეხში.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge



# მოვითხოვთ, 23 წლის მომაკვდავი პატიმარი გაათავისუფლოთ!

## ციხეებში ტუბერკულოზის ეპიდემიამ პიკს მიაღწია

ნანა მიშელაშვილი

**23 წლის პატიმრის იოსებ წიკლაურის ოჯახი შვილის გადასარჩენად იბრძვის. პატიმრის მამამ ზურაბ წიკლაურმა გუშინ ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად პარლამენტში ბრიფინგი გამართა და პატიმრის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაზე ისაუბრა.**



როგორც ბრიფინგზე ითქვა, 23 წლის იოსებ წიკლაური ორი წლის წინ ხულიგნობისა და იარაღის ტარების მუხლით მოხვდა ციხეში და ტუბერკულოზით მძიმედ დაავადდა.

საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან პატიმარ იოსებ წიკლაურის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნის დროულად გაცემას ითხოვს. ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ამ დასკვნის გაცემაზეა სწორედ პატიმრის ბედი დამოკიდებული.

გიორგი ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ 23 წლის იოსებ წიკლაური ამ დროისთვის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში უმძიმეს მდგომარეობაშია გადაყვანილი და საწოლზე ხელბორკილით და ფეხბორკილით არის მიბმული, არადა, იოსებ წიკლაურს ფეხზე დამოუკიდებლად ადგომაც კი არ შეუძლია, გათიშული აქვს ერთი ფილტვი და სეფსისია დაწყებული.

— ეტყობა, ხათუნა კალმახელიძის უწყებას ეშინია, ფანჯრიდან არ გადახტეს პატიმარი, რომელიც ველარ დადის და ველარ სუნთქავს. მას გათიშული აქვს მარჯვენა ფილტვი, დრენაჟი აქვს ჩაყენებული, დაწყებულია სეფსისი. ფაქტობრივად, კრიტიკული მდგომარეობა აქვს, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

მშობლებმა მიმართეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რათა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის თანახმად, მოხდეს განაჩენის აღსრულების გადავადება, გამოჯანმრთელების შემდეგ კი ისევ დაუბრუნდება სასჯელაღსრულების დაწესებულებას და სასჯელის მოხდას გააგრძელებს.

ცაგარეიშვილმა ბრიფინგზე წარმოადგინა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. დოკუმენტი გაფორმებულია მიმდინარე წლის 6 ივნისს. ექსპერტები პატიმართან დაშვებულნი იქნენ 28 ივნისს, თუმცა დასკვა, რომელიც დადგენილი ვადების გათვალისწინებით 8 აგვისტოსთვის უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ამ დრომდე არ გაცემულა.

ცაგარეიშვილის შეფასებით, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნის გაცემას შეგნებულად აყოვნებს და, როგორც ჩანს, საავადმყოფოში პატიმრის სიკვდილს ელიან, რათა ქართულ ციხეში კიდევ ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე ჩაიფერფლოს.

— ამას ხელს უწყობს მინისტრი ხათუნა კალმახელიძე. ამას ხელს უწყობს ის ინკვიზიციური მართლმსაჯულება, რომელიც საქართველოში ზეობს. ქალბატონო კალმახელიძე, რაში გჭირდებათ 23 წლის მომაკვდავი პატიმარი?! რად გინდათ და რაში გჭირდებათ ეს ადამიანი?! იქნებ ბოლო წუთები ოჯახთან ერთად მაინც გაატარებინოთ ამ ადამიანს! იქნებ ამ ადამიანის გადარჩენის ბოლო შანსი კიდევ არსებობს, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბრიფინგზე დაკავებულის ორი ფოტოსურათი წარმოადგინა — მის დაკავებამდე და დაკავების შემდეგ. პირველ ფოტოსურათზე იოსებ წიკლაური ჯანმრთელ მდგომარეობაშია, მეორე ფოტოსურათზე კი სავარძელსაა მიჯაჭვული.

ცაგარეიშვილმა მიმართა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტებს, რათა დროულად დაწერონ დასკვნა.

— კატეგორიულად მოვითხოვ ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელისგან, რომ სასწრაფოდ, დღესვე გასცეს დასკვნა, რის საფუძველზეც ამ პატიმრის დამცველს ოჯახთან ერთად საშუალება მიეცემა, ეს ადამიანი გამოსტაცონ სიკვდილს. გამოჯანმრთელების შემდეგ კი ეს ის ისევ დაუბრუნდება სასჯელაღსრულების დაწესებულებას. ამ პატიმრის შეწყალებაზე არავინ საუბრობს. მისი ოჯახი ითხოვს იმას, რაც კანონმდებლობით არის დადგენილი, მაგრამ, შერჩევითი რომ არის დღეს ქართული მართლმსაჯულება, აქედანაც ჩანს, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ფრაქციის თავმჯდომარემ სახალხო დამცველის მიერ ბოლოს გამოქვეყნებულ სტატისტიკაზეც ისაუბრა, რომელიც ციხეებში პატიმართა გარდაცვალებას უკავშირდება. ამ სტატისტიკის თანახმად, 2011 წლის პირველ კვარტალში ქართულ ციხეებში 38 პატიმარი გარდაიცვალა და 2010 წლის ამავე დროს კი ეს მაჩვენებელი 12-ით ნაკლები იყო.

ცაგარეიშვილმა გაიხსენა, რომ კომიტეტის სხდომაზე მისულ მინისტრ კალმახელიძეს პატიმართა გარდაცვალების ზრდასთან დაკავშირებით შეკითხვა დაუსვა და კალმახელიძემ პატიმრების გარდაცვალება მათი ხანდაზმულობით ახსნა.

— ქალბატონო ხათუნა, მაინტერესებს, 23 წლის პატიმარი იოსებ წიკლაური 75 წლის არის? დაუბრუნეთ ადამიანს სიცოცხლე და სიკვდილისთვის ნუ გაწირავთ! — მიმართა ცაგარეიშვილმა მინისტრს.

ბრიფინგზე პატიმრის მამამ ზურაბ წიკლაურმა დეტალურად ისაუბრა იმაზე, თუ რის გამოა მისი შვილი დაკავებული.

— ჩემი შვილი დაკავებულია ხულიგნობისა და იარაღის შენახვა-ტარებისთვის, რისთვისაც მიუსაჯეს 10 წელი და 6 თვე. დაკავებიდან ერთი წლის შემდეგ დაავადდა ტუბერკულოზით და დღეს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, — განაცხადა პატიმრის მამამ.

მან ექსპერტიზის ბიუროსგან მოითხოვა დასკვნის დროული გადმოცემა, რათა მან თავისი შვილის მდგომარეობას თავად მიხედოს.

— ხელისუფლებისგან ვითხოვ დახმარებას, რათა ჩემს შვილს გადაუვადდეს სასჯელი და ოჯახმა იზრუნოს იოსებ წიკლაურის ჯანმრთელობაზე, — აღნიშნა პატიმრის მამამ.

ბრიფინგზე ცაგარეიშვილმა ისიც განაცხადა, რომ 16 აგვისტოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მოინახულა ეს პატიმარი და რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების სამინისტროს, რომ პატიმარს მიეცეს სათანადო მკურნალობის საშუალება.

— იოსებ წიკლაურის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია და თუკი მას სამედიცინო დახმარება გაუმჯობესებულ პირობებში არ გაეწია და ბორკილები არ შეხსნეს, ეს ადამიანი დიდხანს ვერ იცოცხლებს. მე კიდევ ერთხელ დავესესხები სახალხო დამცველს და ვიტყვი, რომ ეს არის „სიკვდილის ექსპორტი ციხეებიდან საავადმყოფოში“, რათა გარდაცვლილი სამინისტროს არ დაეწეროს, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ბრიფინგზე პატიმარ იოსებ წიკლაურთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ფრაქციის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

— ჩვენ აუცილებლად გავამახვილებთ ყურადღებას იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც კანონმდებლობა იძლევა და რომლის ძალითაც მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებული პატიმარი ექვემდებარება მოუხდელი სასჯელის გადავადებას, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

მისი თქმით, აღნიშნული უფლება გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 283-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით სასჯელისგან გათავისუფლებას ან გადავადებას.

ამასთან, როგორც მან აღნიშნა, არსებობს მეორე გზაც, რომ მიმართონ უწყებათაშორის კომისიას. ლორთქიფანიძის თქმით, ეს გზა უფრო რაციონალურია და გადის უწყებათაშორის მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ხელმძღვანელობს პირის მიმართ წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაციით და უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის გადავადების თაობაზე.

— კონკრეტული შემთხვევა, რომელიც უკავშირდება იოსებ წიკლაურის მიმართ კანონით დადგენილი შეღავათების გავრცელებას, გადის მის მიმართ ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობაზე, ვინაიდან განცხადება ექსპერტიზის ჩატარებაზე შეტანილია 2 თვის წინ, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა ყურადღება გაამახვილა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებულ პატიმრებზეც.

ლორთქიფანიძის განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზის ეპიდემიამ პიკს მიაღწია, რისი პირდაპირი მტკიცებულებაც არის ქსნის სამკურნალო დაწესებულება.

# ალმაშენებლის გამზირს წყალმომარაგება შეუწყდება

ალმაშენებლის გამზირზე წყალსადენის ქსელების სრული რეაბილიტაციის გამო, დღეს ალმაშენებლისა და მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლებს წყალმომარაგება შეუწყდებათ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან“ აცნობეს, დავით ალმაშენებელის გამზირის მასშტაბური რეკონსტრუქციის პროექტი მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციასაც ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აგრძელებს ალმაშებელის გამზირისა და მისი მიმდებარე ქუჩების წყალსადენისა და წყალარინების ქსელების სრულ რეაბილიტაციას.

დღეს, დილიდან კომპანია სარეაბილიტაციო სამუშაოებს დავით ალმაშნებლის გამზირზე, წყალსადენის მიწისქვეშა ქსელების რამდენიმე ათეულ მონაკვეთზე, ერთდროულად განახორციელებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, 19 აგვისტოს, 10:00 საათიდან 20 აგვისტოს დილის 07:00 საათამდე, წყალმომარაგება შეუწყდება: დავით ალმაშენებლის, თამარ მეფის და წერეთლის გამზირებს; თედორე მღვდლის, აგლაძის, წყალტუბოს, მირცხულავას, სამტრედიის, სტანისლავსკის, გუდაუთის, ბაქრაძის, ხოშარაულის, გოგოლაურის, ვანის, გაფრინდაულის, გვეტაძის, კედიას, ევდოშვილის, იამანიძის, დიდუბის, ყიფიანის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ვახუშტი ბაგრატიონის, ვორონინის, აბასთუმნის, ქურდიანისა და მათ მიმდებარე ქუჩებს

ცაბაძის, ჩუბინაშვილის, წინამძღვრიშვილის, კარგარეთელის, ტოვსტონოგოვის, ზურაბ ჭავჭავაძის, ჩერნიშევის, დოდო აბაშიძის, სანკტ-პეტერბურგის, ტეტელაშვილის, კრილოვის, დგებუაძის, პასტერის, ბორჯომის, ნინოშვილის, უზნაძის, ხვამლისა და მათ მიმდებარე ქუჩებს; რობაქიძის ქუჩა 7-ს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ითვალისწინებს წყალმომარაგების შეზღუდვით გამოწვეულ დისკომფორტს და შეეცდება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება შესაძლებლად მოკლე დროში დაასრულოს.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგორის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

ქვესადგურში „ლილო-2“ პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარების გამო მიმდინარე წლის 19 აგვისტოს 10-დან 18 საათამდე სამგორის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება, — აცნობეს „მედიანიუსს“ „თელასიდან“.

შეზღუდვა შეეხება: ლილოს დასახლების, თელავის, კობარეთის და მიმდინარე ქუჩების მაცხოვრებლებს. ელექტრომომარაგება აგრეთვე შეეზღუდება, ტერმინალ ლილო-1, ფირმა „კახეთს“, №168 საჯარო სკოლას, №1 საავადმყოფოს..

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

**მედიანიუსი**

# „კახეთის ენერგოდისტრიბუციამ ავანსად გადახდილი თანხები მიითვისა“

— სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციამ“ გასულ წელს ყვარლის მოსახლეობას ელექტროენერგიის გადასახადთან ერთად გარკვეული თანხები წინასწარ გადაახდევინა, ახლა კი მას უკან აღარ აბრუნებს, — აცხადებს “ახალი მემარჯვენეების“ ყვარლის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნუგზარ ლონიაშვილი.



როგორც „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“ აცნობეს, ლონიაშვილის ირწმუნება, რომ წინასწარ იყო შეთანხმეაბა — ავანსად გადახდილი თანხები წლის ბოლოს აბონენტებს დაუბრუნდებოდათ, თუმცა „კომპანია ფულს უკან აღარ აბრუნებს.“

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა ფაქტის სიზუსტისთვის მაგალითიც მოიყვანა. ყვარელში მცხოვრებ ლომარი სამხარაულს გასულ წელს ავანსად 63 ლარი გადაახდევინეს, თუმცა თანხა უკან აღარავის დაუბრუნებია.

„კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ყვარლის ცენტრში განმარტეს, რომ აბონენტს ე.წ ავანსად გადახდილი თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში უბრუნდება უკან, თუ მას ერთი წლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით დარღვევები არ ექნება.

— მოსახლეობას თანხის წინასწარ გადახდა იმ შემთხვევაში უწევს, თუ გადახდა წლის განმავლობაში რამდენჯერმე დააგვინა, — განმარტა ენერგოდისტრიბუციის წარმომადგენელმა ყვარელში ავთანდილ ზარნაძემ.

**მედიანიუსი**

## გიორგი ჭანტურიას დღეს 52 წელი შეუსრულდებოდა

ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს გიორგი ჭანტურიას დღეს 52 წელი შეუსრულდებოდა.

„ეროვნულ-დემოკრატები" ტრადიციულად, ქაშვეთის ეკლესიის ეზოში გია ჭანტურიას საფლავთან შეიკრიბებიან, სადაც სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხდება.

გია ჭანტურია 1959 წლის 19 აგვისტოს დაიბადა. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ის საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ დისიდენტურ საქმიანობას ეწეოდა.



1981 წლის 8 თებერვალს გია ჭანტურიამ თანამოაზრეებთან ერთად „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" აღადგინა და 1994 წლის 3 დეკემბრამდე - მისი მკვლელობის დღემდე ედპ-ის თავმჯდომარე იყო.

1983 წელს გია ჭანტურია გეორგიევსკის ტრაქტათან დაკავშირებით გამართული დემონსტრაციის გამო დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გია ჭანტურია და ედპ გამსახურდიას ხელისუფლების ოპოზიციას წარმოადგენდა, რისი მთავარი მიზეზი საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა და შემდგომ უკვე გამსახურდიას ხელისუფლების არადემოკრატიული მმართველობა იყო.

გამსახურდიას ხელისუფლების დროს მომხდარი სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდში, ჭანტურია გამსახურდიას ხელისუფლების პატიმრობაში იმყოფებოდა, საიდანაც ჭანტურია პარტიის წევრებს და საზოგადოებას აფრთხილებდა, რომ ხელისუფლების შიგნით არსებული რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლების მხრიდან სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა და თანამოაზრეებს მოუწოდებდა, რომ რუსულ პროვოკაციასა და სამოქალაქო დაპირისპირებაში არ ჩარეულიყვნენ.

საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ, ჭანტურია და ედპ ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად მოიაზრებოდა.

გია ჭანტურიამ 1994 წელს, მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და აგენტურაში მაშინდელი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები იგორ გიორგაძე, ვარდიკო ნადიბაიძე და შოთა კვირაია ამხილა და სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს მათი თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვა.

1994 წლის 3 დეკემბერს გია ჭანტურია ედპ-ის ყრილობის დახურვის დღეს საკუთარი სახლის სადარბაზოსთან ტერორისტული აქტის შედეგად მოკლეს.

**პირველი**

## ჩეხეთი ევროზონაში გაერთიანების თარიღის დასახელებისგან თავს იკავებს

ევროზონაში არსებული გაურკვეველი ვითარების გამო, ჩეხეთი ვერ ასახელებს თარიღს, როდის შეუერთდება ევროს. ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პეტრ ნეჩასმა განაცხადა.

— ახლა საერთოდ არასწორი იქნებოდა თარიღის დასახელება, როდის უნდა შეუერთდეს ჩეხეთი ევროს, რადგან გაურკვეველია, რას შევუერთდებით, — განაცხადა ნეჩასმა.

მისი თქმით, ამჟამად არსებული კრიზისი ევროზონაში სხვა ვითარებას ქმნის 2003 წელთან შედარებით. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მაშინ, როცა ჩეხეთი ევროკავშირში გაწევრიანდა, ევროზონაში სულ სხვა ვითარება იყო.

**ინტერპრესნიუსი**

# პაატა ჯიბლაძე: სააკაშვილმა ინგილო სტუდენტებს საქართველოს მოქალაქეობა არ მისცა

შორენა კოწოწაშვილი



ლეიბორისტული პარტია აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ საინგილოში ქართველების შევიწროებაზე ამახვილებს ყურადღებას და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევს წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარის გაძევებასთან დაკავშირებული საქმის პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს.

ოპოზიციურ პარტიაში მიაჩნიათ, რომ დაუშვებელია ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანელებმა ისეთი პოლიტიკა გაატარონ ინგილო ქართველებთან მიმართებაში, რასაც ადგილი არა აქვს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან მიმართებაში.

— მიხეილ სააკაშვილი მზადაა ქვემო ქართლში აღებული ხმების სანაცვლოდ, პირში წყალი ჩაიგუბოს და ხმა არ ამოიღოს იმ ვანდალურ აქტზე, რომელიც განხორციელდა სულ რამდენიმე დღის წინ. როდესაც აზერბაიჯანის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა საინგილოდან კახის რაიონის წიმინდა გიორგის ეკლესიიდან გამოაძევეს ეკლესიის მოძღვარი მამა ბასილი იმ მოტივით, რომ იგი აწარმოებდა ზემოაღნიშნული ეკლესიის დასუფთავების და სარემონტო სამუშაოებს. საქართველოს ლეიბორისტული პარტია მოუწოდებს აზერბაიჯანის პრეზიდენტს ამ საკითხით დაინტერესებას და პირად კონტროლზე აყვანას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობა უფრო ღირებულია, ვიდრე კორუმპირებულ სააკაშვილთან ერთად განხორციელებული პოლიტიკური თუ ბიზნესგარიგებები, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ.

გუშინვე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა მიმართა აზერბაიჯანელ ხალხს და შეახსენა, რომ საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში და სხვა რაიონებში მცხოვრები აზერბაიჯენელები არ განიცდიან არავითარ დევნას, სარწმუნოებრივი თუ ეროვნული თვალსაზრისით.

— ჩვენ ყოველთვის ვიყავით ტოლერანტები სხვა ეროვნების და სარწმუნოების ხალხის მიმართ, — აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ და განაცხადა, რომ ანალოგიურს მოვითხოვთ ჩვენი თანამემამულეების მიმართაც, რომლებიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან ჩაყენებული.

— თუ ასე გაგრძელდება ქართველების, ჩვენი ინგილო ძმების შევიწროება, დამერწმუნეთ, რომ 15-20 წელიწადში ალბათ უკვე სახსენებელიც აღარ იქნება ინგილო ქართველებისა არათუ კახის რაიონში, არამედ ზაქათალასა და სხვა სოფლებში, — აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ და დააკონკრეტა, რომ საინგილოში ერთადერთი მოქმედი ეკლესია სწორედ წმინდა გიორგის ეკლესია იყო. იქაც კი აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა შეუწყვიტეს ქართველებს არა მხოლოდ სარემონტო სამუშაოების ჩატარება, არამედ მღვდელთმსახურებაც.



ლეიბორისტები პრეზიდენტს უყურადღებობაში ადანაშაულებენ

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად შენდება მეჩეთები როგორც ქვემო ქართლის, ისე აჭარის ტერიტორიაზე და ამ ყველაფერზე რატომღაც დუმილს ამჯობინებს საქართველოს პრეზიდენტი, რაც ქართველ მოძღვართან მიმართებაში საინგლიოში დაფიქსირდა. ჯიბლაძე ფიქრობს, რომ სააკაშვილი ხმალამოღებული უნდა იცავდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების უფლებებს, მით უფრო სარწმუნოებრივს.

— აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და ქვეყნის პრეზიდენტი არის სააკაშვილი და მან უნდა მიმართოს თავის კოლეგა პრეზიდენტს, რომელთანაც სხვადასხვა პოლიტიკურ და ბიზნესგარიგებებშია, რომ მისი სპეცსამსახურები არ აწიოკებდნენ ჩვენს ძმებსა და დებს საინგილოში, — აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ და იქვე დაამატა: ხომ წარმოგიდგენიათ საქართველოში რომ მოხდეს ანალოგიური ფაქტი და იგივე რომ გააკეთოს ქართულმა სპეცსამსახურებმა, რაც საინგილოში გააკეთეს, რა ამბები ატყდება, რა ამბებს ატეხენ აზერბაიჯანის ხელისუფლება და ხალხი მათი თანამოძმეების უფლებების დარღვევისთვის.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მამა ბასილის თაოსნობით სარემონტო სამუშაოები ხორციელდებოდა. ეზოში ყვავილები ჰქონდა მრევლს დარგული და ადამიანები, რომლებიც გამაგრებით სამუშაოებს ახორციელებდნენ, ცემა-ტყეპით გამოყარეს.

— ეს განუკითხაობა უნდა დამთავრდეს, — აცხადებს პაატა ჯიბლაძე და როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული მხარის გასაგონად აფიქსირებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ქვემო ქართლში აქტიურად მიმდინარეობს ბიზნეს ობიექტების და საწარმოების მშენებლობა. ამ საწარმოებში კი მხოლოდ აზერბაიჯანელების დასაქმება ხდება დმანისში და მარნეულში.

— ნახეთ, დმანისში და მარნეულში რა სასახლეებს იშენებენ აზერბაიჯანელები, ვინმე მათ რამეს უშლის? კეთილი ინებონ და ზუსტად ისევე მოექცნენ ქართველებს საინგილოში და ჩვენი სარწმუნეობის მიმართაც გამოიჩინონ პატივისცემა, — აღნიშნა ბოლოს პაატა ჯიბლაძემ, რომელმაც უკმაყოფილება დააფიქსირა იმის გამოც, რომ ორი ქართველი ინგილო ახალგაზრდა, რომლებიც სააკაშვილს ორმაგ მოქალაქეობას სთხოვდნენ, დღემდე საქართველოს ხელისუფლებამ პასუხის ღირსადაც არ გახადა.

## გიორგი ტუღუში: მამუკა ზერეკიძის გარდაცვალებას წყლის მადუღარას უკავშირებენ

სახალხო დამცველის ინფორმაციით, მამუკა ზერეკიძის გარდაცვალებას მისი თანასაკნელები წყლის მადუღარას უკავშირებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" გიორგი ტუღუშმა განუცხადა, 17 აგვისტოს მისი წარმომადგენლები იმყოფებოდნენ რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მსჯავრდებულ მამუკა ზერეკიძის გარდაცვალების გარემოებების გასარკვევად.



სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას და პატიმრებს, დაათვალიერეს დაწესებულების ახალი კორპუსის №23 საკანი, სადაც მსჯავრდებული მამუკა ზერეკიძე იყო განთავსებული სამ მსჯავრდებულთან ერთად და სადაც იგი გარდაიცვალა.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, დაწესებულების ადმინისტრაციის და მსჯავრდებულების განმარტებით, მსჯავრდებულებს ჰქონდათ დაწესებულების მაღაზიაში ნაყიდი მადუღარა, რომელსაც ხსნიდნენ კორპუსს და წყლის გასაცხელებლად იყენებდნენ. მათი ვარაუდით, სწორედ ამგვარად დაშლილი მადუღარა გახდა უბედური შემთხვევის მიზეზი.

დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, მ. ზერეკიძის გარდაცვალების ფაქტს იძიებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. შემთხვევის დღესვე, ექსპერტ კრიმინალისტების მიერ, მოხდა საკნის დათვალიერება. საქმეზე დაიკითხნენ როგორც დაწესებულების თანამშრომლები, ისე ზერეკიძის თანასაკნელები.

დაწესებულების თანამშრომლების, ასევე, ზერეკიძის თანასაკნელების განმარტებით, 2011 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 8:30 საათზე, მსჯავრდებულები სასეირნოდ გაიყვანეს, თუმცა მ. ზერეკიძემ უარი განაცხადა სასეირნოდ გასვლაზე (ადმინისტრაციის და თანასაკნელების განმარტებით, მ. ზერეკიძე ხშირად ამბობდა უარს სასეირნოდ გასვლაზე). დაახლოებით 9:00 საათზე საკვების დამრიგებელმა და კონტროლიორმა მ. ზერეკიძეს შესთავაზეს საკვები, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა საკვების აღებაზე. მ. ზერეკიძის თანასაკნელები სასეირნო ეზოდან საცხოვრებელ საკანში დაბრუნდნენ დაახლოებით 10:00 საათზე. საკანში შესვლისთანავე მათ საპირფარეშოში პირქვე მდგომარეობაში დაინახეს მ. ზერეკიძე. მსჯავრდებულებმა დაუძახეს დაწესებულების თანამშრომლებს და ექიმს, რომლებიც დაუყოვნებლივ მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, თუმცა მ. ზერეკიძეს სასიცოცხლო ნიშნები უკვე აღარ აღენიშნებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილის ხელისუფლება ანტირუსულ ისტერიაზე დგას“

შორენა გონგლაძე

**ოპოზიციური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „იზვესტიას“ განუმარტა, თუ რატომ არ არის უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესება.**



*— რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ჩამოაყალიბა საკუთარი აზრი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დღეს არსებული კრიზისის თაობაზე და შესაძლო გამოსავალზე. როგორია თქვენი აზრი?*

— როდესაც რუსეთის პრეზიდენტი ამბობს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, აუცილებელია, ქართველი და რუსი პოლიტიკოსები დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან კომპრომისის მისაღწევად. ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანი ამისკენ უნდა ისწრაფვოდეს.

*— რუსული მხარე აცხადებს მზადყოფნას დიალოგისთვის, რასაც ვერ იტყვი ოფიციალურ თბილისზე. შესაძლებელია თუ არა რაიმე ცვლილება, მაგალითად, ქართული მხარის პოზიციასთან მიმართებით რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით?*

— სააკაშვილს არ აწყობს ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესება. მისი ძალაუფლება ამ ანტირუსულ ისტერიაზე დგას. სააკაშვილს აწყობს, თავი წარმოადგინოს საქართველოს უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის ერთადერთ გარანტად. აქედან გამომდინარეა ქვეყანაში მიმდინარე შპიონომანია, აქედან გამომდინარეა მუდმივი ბრალდებები ოპოზიციის მიმართ, თითქოს მას საქართველოს ლამის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანა სურს.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ხვდება, რომ ასეთი პოლიტიკა და სიტუაცია უპერსპექტივოა. ამიტომ ის ცდილობს, მოსკოვის მიმართ გარკვეული მესიჯები გააგზავნოს, ცდილობს, სავაჭრო თემები გამოძებნოს. ერთი მხრივ, სააკაშვილი ხმამაღლა საუბრობს მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირების შეუძლებლობაზე და, ამავე დროს, მან მოახერხა, საქართველოს ყველა სტრატეგიული ობიექტი გადაეცა რუსული არა მარტო კერძო, არამედ სახელმწიფო კაპიტალისთვის. ვფიქრობ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებით სააკაშვილი ვაჭრობას შეეცდება.

*— ანუ საქართველოში არსებული ხელისუფლების პირობებში ქართულ-რუსული ურთიერთობების პრინციპული გაუმჯობესება შეუძლებელია?*

— რა თქმა უნდა. გარდა იმისა, რომ ეს არ აწყობს სააკაშვილს, მას, უბრალოდ, საშუალებაც არ აქვს, გამოასწოროს სიტუაცია. მასთან მოლაპარაკება შეუძლებელია და მის სიტყვას არავინ ენდობა. ყველა პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პოლიტიკოსი საქართველოში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეცდება, დაიწყოს დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან და ყველაფერს გააკეთებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. კარგია, რომ რუსეთის პრეზიდენტს ეს ესმის, როგორც აღნიშნა საკუთარ ინტერვიუში. მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მედვედევის განცხადება, რომ შეთანხმებების მიღწევის შემთხვევაში ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის რუსეთი ხელისშემშლელი არ იქნება. ასეთი პოზიცია შანსს მისცემს ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას, რა თქმა უნდა, საქართველოში ახალი პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლების პირობებში.

საქართველოს ესმის, რომ რუსეთს აქვს საკუთარი კანონიერი ინტერესები კავკასიაში და დაინტერესებულია მისი სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოებით. ამავე დროს, რუსეთიც გაგებითა და პატივისცემით უნდა მოეკიდოს საქართველოს კანონიერ ინტერესებს: სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და შიდა საქმეებში ჩაურევლობას. მედვედევმა მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსეთი არ ჩაერევა საქართველოს შიდა საქმეებში და საქართველოს პრეზიდენტის ბედი მხოლოდ ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ეს სწორია. ქართველებმა თვითონ უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა სააკაშვილისნაირი პრეზიდენტი. ეს საქართველოს შიდა საკითხია და ამაში არავინ უნდა ჩაერიოს — არც რუსეთი და არც ამერიკა.

# დაკავებულ მეწარმეებს 100 ათას ლარს სთხოვენ

ქეთი ხომერიკი

ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისის შემდეგ უკვე ქუთაისისთვის მოიცალა და იქ მცხოვრები და მოღვაწე ადამიანების გულის მოგება უჩვეულო ფორმით დაიწყო — ხელისუფლება ქუთაისში მოღვაწე მეწარმეებს დაერია. „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ზვიად წაქაძე დაუკავშირდა და ამის შესახებ ამცნო. კუკავას პარტიელის ინფორმაციით, ქუთაისში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 38 საშუალო და მსხვილი მეწარმე დააკავეს. ზვიად წაქაძის განაცხადებით, დაკავებულებს შორის არიან პურის ქარხანა შპს „ელვასა“ და სამკერვალო ფაბრიკა „იმერის“ მეპატრონეები. სხვა დაკავებულთა ვინაობის შესახებ წაქაძეს ინფორმაცია არ აქვს. წაქაძის მტკიცებით, დაკავებულებს ბიუჯეტის სასარგებლოდ ათეულათასობით ლარის გადახდას აიძულებენ.

— მათი დაკავების ზუსტი დღე ჩემთვის ცნობილი არ არის, თუმცა, როგორც ვიცი, ერთ კვირაზე მეტი არ იქნება და ეს ადამიანები დაკავებულნი რომ არიან, დანამდვილებით ვიცი. ამ ადამიანებს ფულს სთხოვენ, აბა, სხვა რა მიზეზით უნდა დაეკავებინათ, გაუგებარია. ჩემი ინფორმაციით, ევაჭრებიან დაკავებულებს. დაახლოებით 100 ათასობით ლარზეა საუბარი. ამ ინფორმაციას მკაცრად ასაიდუმლოებენ, არ ახმაურებენ თავად ოჯახის წევრებიც. ქუთაისში ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. ეს ადამიანები სანამ 100 ათას არ გადაიხდიან, ბუნებრივია, მათ არავინ გამოუშვებს. ისიც კი მითხრეს, რომ ერთ-ერთ მათგანს მილიონს სთხოვენ, სავარაუდოდ, პურის ქარხანა შპს „ელვას“ მეპატრონეს, ტონიას, — ირწმუნება წაქაძე.

როგორც ჩანს, შემოაკლდათ ფული ქალაქის ბიუჯეტში და აიძულებენ ამ ადამიანებს ფულის ჩარიცხვას, რომელიც შემდგომ უაზრო პროექტებს ხმარდება. იმდენ რალაცას აკეთებენ, ვითომ ალამაზებენ აქაურობას, არადა, პირიქით. აგერ გუშინ ალმაშენებლის გამზირზე პალმები რომ დარგეს, სიომ დაუბერა და იმ წამსვე მოიხარა, — აცხადებს წაქაძე. „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, ასეთი ძალადობით ბიუჯეტში გადარიცხულ ფულს შემდეგ ისეთ სულელურ პროექტებზე ხარჯავენ, როგორიცაა დავით ალმაშენებლის ძეგლის გადატანა და იგივე დავით ალმაშენებლის გამზირზე პალმების დარგვა, ველობილიკების მშენებლობა და სხვა.

— მოვუწოდებ ხელისუფლებას, თავი დაანებოს საქმოსან ადამიანებს, გაათავისუფლონ დაუყოვნებლივ და ნორმალურად მუშაობის საშუალება მისცენ, ასევე დაანებონ თავი ამ უაზრო და სულელური პროექტების კეთებას, — დასძინა წაქაძემ „ახალ თაობასთან“ საუბრისას.

# ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის ჩაბარების საკითხი გაურკვეველია



წინასწარი მონაცემებით, წელს კახეთში 5 090 ტონა ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი. ამ დრომდე ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მისაღებად განაცხადი არცერთ საწარმოს არ აქვს გაკეთებული, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის ყველაზე მეტ მოსავალს - 1934,5 ტონას ახმეტის რაიონში ელოდებიან; საგარეჯოში 987 ტონას; გურჯაანში 790 ტონას; ყვარელში 788 ტონას; თელავში - 232 ტონას; სიღნაღში 168 ტონას; დედოფლისწყაროში 100 ტონას და ლაგოდეხის რაიონში 91 ტონას.

გასულ წელს კახეთში ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი სახელმწიფო საწარმომ რთველი - 2008„ 10-15 თეთრად ჩაიბარა. სულ რეგიონში 4 335 ტონა ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მოსავალი მოვიდა. 18-20 თეთრად ჩაიბარეს 1 კგ ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი ახალსოფლის და ყვარლის ღვინის ქარხნებმა. ჰიბრიდული ჯიშის ყურძენზე სუბსიდია არ გაიცემა. გლეხების თქმით, ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის ფასი იმდენად იაფი იყო, რომ ღვინის ქარხნამდე ტრანსპორტირების ხარჯებიც კი ვერ აანაზღაურა.

რთველი კახეთში წელს 25 აგვისტოს დაიწყება.

**მედიანიუსი**

# ბოლშევიკების დროს იყო „ექიმების საქმე“, დღეს გვაქვს „მძღოლების საქმე

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლება აგრძელებს პოლიტიკური ოპონენტებთან დაახლოებული პირების დასჯას და ამის ნათელი მაგალითია 26 მაისის მოვლენების გამო დაკავებული მძღოლის შაქრო ზურაშვილისადმი გამოტანილი განაჩენი.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, სასამართლომ ხელისუფლების დაკვეთით ზურაშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მისი თქმით, ის იმ ავტომობილის საჭესთან იჯდა, რომელშიც თავად ბურჯანაძე იმყოფებოდა.

— საქართველოში კარგა ხანია ნეობოლშევიკური მმართველობა იკიდებს ფეხს. ბოლშევიკების დროს იყო ექიმების საქმე, დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ მძღოლების საქმეზე, იმიტომ, რომ ყველა მძღოლი პოლიტიკური ნიშნით იყო დაპატიმრებული და არც ერთ მათგანს დანაშაული არ დადასტურებია. პირველივე დღიდან მძღოლებზე ზეწოლა მიმდინარეობდა, რათა რომელიმე მათგანს ეღიარებინა, რომ პოლიციელის დაღუპვა გამოიწვია იმ მანქანამ, რომელშიც მე ვიჯექი, ან რომელსაც ჩემი შვილი მართავდა. მიუხედავად მძღოლებზე ზეწოლისა, არც ერთმა მათგანმა ცილი არ დაგვწამა. თუმცა ყველა მძღოლმა ზეწოლას ვერ გაუძლო და სამმა მათგანმა პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა აღიარა. ამ აღიარებით, მათ პოლიტიკური პატიმრის სტატუსი დაკარგეს, რითიც მათ გასათავისუფლებლად ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა მოგვისპეს. მიუხედავად აღიარებისა, მძღოლები შსს მიერ მოტყუებულები დარჩნენ, რადგან 3, 5 და 8 წელი მიუსაჯეს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# რუსეთში ხორბლის რეკორდულ მოსავალს ელოდებიან

რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყანაში ხორბლის მოსავალის რეკორდულ რაოდენობას ელოდებიან. „ნიუსლენდის“ ინფორმაციით, 2011-2012 წლების სეზონზე 85-90 მილიონ ტონა მოსავალს შეაგროვებენ. აქედან 23 მილიონი ტონის ექსპორტი განხორციელდება.



რუსეთის ანალიტიკური ცენტრის „რუსაგროტრანსის“ მონაცემებით, თუ დოლარის არსებული კურსი შენარჩუნდება, ექსპორტიდან შემოსული თანხა 180 მილიარდ რუბლს შეადგენს, რაც დაახლოებით 6,2 მილიარდი ამერიკული დოლარია.

ქვეყნის ტერიტორიაზე 2010 წელს მომხდარი ხანძრების შედეგად, რუსეთმა ხორბლის ექსპორტი აკრძალა, რამაც მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდა გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

# დღეს „ბახმაროობის“ სახალხო დღესასწაული აღინიშნება

დღეს კურორტ ბახმაროში „ბახმაროობის“ სახალხო დღესასწაული აღინიშნება.

ამის შესახებ „პირველს“ გურიის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან აცნობეს.

საკრებულოს წარმომადგენლის განცხადებით, 19 აგვისტოს კურორტ ბახმაროში დაგეგმილ ღონისძიებებში უამრავი სტუმარი, მათ შორის ტურ-ოპერატორები, ბიზნესმენები და ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

მრავალფეროვანი იქნება ასევე კულტურული პროგრამა, რომელიც ტრადიციული დოღით დასრულდება.



ღონისძიებას რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილიც დაესწრება.

კურორტი „ბახმარო“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზღვის დონიდან 2500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც ამჟამად 2000-მდე დამსვენებელი იმყოფება.

**პირველი**

# სანოტარო ბიუროს თანამშრომლებს სერთიფიკატები გადაეცათ

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარემ ნინო ხოფერიამ სანოტარო ბიუროს თანამშრომლებს სერტიფიკატები გადასცა. სანოტარო ბიუროების თანამშრომლებს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში ეფექტურ მომსახურებასა და კომუნიკაციაში„ სწავლება ჩაუტარდათ. ვინც სასწავლო კურსი წარმატებით გაიარა, შესაბამისი სერტიფიკატები მიიღეს.

როგორც ნოტარიუსთა პალატაში აცხადებენ, სწავლების მიზანს მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესება წარმოადგენდა. სამდღიანი სასწავლო კურსი სანოტარო ბიუროს თანამშრომლებს ეფექტური მომსახურებისა და კომუნიკაციისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევეის გამომუშავებაში დაეხმარა. სწავლება მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ მუშაობას; სრულდებოდა სხვადასხვა სახის როლური თამაშები და კეთდებოდა მათი ვიდეოჩანაწერები. აღნიშნული ვიდეოჩანაწერების შემდგომ განხილვა მომსახურების უნარ-ჩვევების უკეთ ათვისებას უწყობდა ხელს.

**მედიანიუსი**

## თევზი მტკვარში ჟანგბადის ნაკლებობის გამო დაიხოცა

გარემოს დაცვის ინსპექტირების სამსახურის ცნობით, მტკვარში თევზის დახოცვა უხვი ნალექის შედეგად მდინარეში შლამის მატებამ და ჟანგბადის ნაკლებობამ გამოიწვია.როგორც გარემოს დაცვის ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენლის მაია ჩხობაძემ განაცხადა, ლაბორატორიული ანალიზი მტკვრის სამი სხვადასხვა წერტილიდან აღებულ წყლის სინჯებსა და თევზზე გაკეთდა. შემოწმდა მდინარეში ტოქსინებისა და მჟავიანობის შემცველობის ხარისხიც.

— ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ თევზის დახოცვა ჟანგბადის ნაკლებობამ გამოიწვია. მტკვარში ჟანგბადის შემცველობა ნორმას რამდენიმე დღეში დაუბრუნდება, — განაცხადა მაია ჩხობაძემ.

**მედიანიუსი**

# პრეზიდენტს ხალხი არ ადარდებს

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— თქვენ აქტიურად აპროტესტებდით სამარშრუტო ტრანსპორტზე ფასების მატებას. როგორც ვიცი, ბოლოს წერილი შეიტანეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. რა ეტაპზეა ეს საკითხი და, საერთოდ, აპირებთ თუ არა ამ თემის განახლებას?***

— ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ თავიდანვე გამოვხატეთ პროტესტი, გავმართეთ არაერთი აქცია, შევხვდით მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსს და გვქონდა მოლაპარაკება ფასის დაწევასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ფართო საზოგადოებისთვისაა ცნობილი, ტრადიციულად, მათ კიდევ ერთი ტყუილი უთხრეს საზოგადოებას და თავიანთი სიტყვა არ შეასრულეს. ჩვენ ამის შემდეგ აქცია გავმართეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და წერილი შევიტანეთ პრეზიდენტის სახელზე, სადაც მოყვანილი გვაქვს მთელი რიგი გარემოებები, რისთვისაც ფასი უნდა დარჩეს ძველ ნიშნულზე. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, წერილზე პასუხი უნდა მიგვეღო ათი დღის განმავლობაში, რაც არ მომხდარა. მას არ აინტერესებს საკუთარი ხალხი და ვფიქრობთ, რომ ასეთ ხელისუფლებას ხალხმა საკადრისი პასუხი უნდა გასცეს.

***— ეს საკითხი ცალ-ცალკე ყველა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ გააპროტესტა, თუმცა, საერთო პროტესტი მაინც ვერ შედგა...***

— ეს არის ერთ-ერთი უმძიმესი სოციალური თემა. თუ საერთო სახალხო პროტესტი ვერ შედგა, ეს მხოლოდდამხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ არის ზაფხული, არააქტიური პერიოდი, მოსახლეობის დიდი ნაწილი გასულია ქალაქიდან და ეს არის ძირითადი პრობლემა. ჩვენ ვაპირებთ ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ ერთი პარტიის აქტიურობა არ არის საკმარისი. საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა და, თუ ხელისუფლება დაინახავს ხალხის ერთიან პროტესტს, მერწმუნეთ, ისინი აუცილებლად დაიხევენ უკან. ხელისუფლებას ყველაზე მეტად ხალხის გაერთიანების ეშინია. მიმაჩნია, რომ საზოგადოება ყოველგვარი ლიდერების გარეშე გაერთიანდება და გამოვა ქუჩაში. სააკაშვილს ქართველმა ხალხმა ძალიან ბევრი რამე აპატია, მათ შორის, ტერიტორიების დაკარგვა, რომელიც უკვე აღარც ახსოვს ამ ხელისუფლებას და კარგად ვხედავთ, რა მდგომარეობაში აყენებენ ისინი ადამიანებს. თუ არ იქნება ჩვენი საზოგადოება ერთიანი, ამ ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი შერჩება.



***— კიდევ ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც საკმაოდ მწვავედ დგას, დევნილების გამოსახლებაა, რაზეც არაერთხელ გამოითქვა პროტესტი, თუმცა, უშედეგოდ...***

— სამ ხელისუფლებას სჩვევია არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა ზაფხულის თვეებში, როდესაც ხალხი გასულია ქალაქიდან და, შესაბამისად, პროტესტის ტალღაც გაცილებით ნაკლებია. ანალოგიური ვითარება იყო გასულ ზაფხულსაც. მათ დაიწყეს დევნილების გამოყრა საცხოვრებელი სახლებიდან. ეს არის იმ კამპანიის გაგრძელება, რაც წინა წლებში დაიწყო. ასეთი მოქმედება რატომღაც ამ ხელისუფლებას წესად ექცა და არ უნდა გაიგოს, რომ შედეგის მისაღწევად საჭიროა ერთიანი ძალებით ბრძოლა. ხალხი რომ ასეთ დღეშია, ამაში დამნაშავეა ოპოზიციური პარტიები. რომელთაც ძალიან ბევრჯერ გაუცრუეს საზოგადოებას იმედი. ამიტომაც დადგა დრო, ხალხი გამოფხიზლდეს და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. იმასაც ვიტყვი, რომ არ შეიძლება ოპოზიციური პარტიების ერთ კონტექსტში განხილვა.

***— რატომ?***

— არიან ისეთი ოპოზიციური ძალები, რომლებმაც მიზანმიმართულად მოახდინეს მთლიანი ოპოზიციის დისკრედიტაცია და, ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა მოახდინოს მათი გამიჯვნა.

# თეო ხატიაშვილი: როდესაც „ქეთო და კოტეს“ დადგმის იდეა პრეზიდენტს მოსდის, ეს უკვე ცუდია

**ხელისუფლების ხელშეწყობით ბათუმში გამართული კონცერტებსა და კულტურის სფეროში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის თავისებურებებზე „ინტერპესნიუსი“ ხელოვნებათმცოდნე თეო ხატიაშვილს ესაუბრა.**



***— ქალბატონო თეო, თუ კარერასის, ბოჩელის, დომინგოს, შემდეგ სტინგისა და იგლესიასის კონცერტები ბათუმში ტურისტების მოზიდვის მიზნით გაიმართა, ქვეყნის წამყვანი, ახალგაზრდა და ძველი თაობის ვარსკვლავთა მონაწილეობით მიუზიკლ "ქეთო და კოტეს" სცენაზე გადმოტანა აშკარად სხვა დატვირთვის მატარებელი ღონისძიება იყო. პრეზიდენტმა მიუზიკლი „ქართულ კულტურაში ახალი ეტაპის დასაწყისად" შეაფასა, პატრიარქმა „სცენაზე რევოლუციად". თქვენ რა როლს მიანიჭებდით კულტურულ ცხოვრებაში „ქეთო და კოტეს" ახალ ინსცენირებას? და კიდევ, იმის გათვალისწინებით, რომ მიუზიკლის დადგმა ხელისუფლების პატრონაჟით განხორციელდა, თქვენი აზრით, ამ პრემიერით რისი დემონსტრირება სურდა ხელისუფლებას?***

— მე მიუზიკლ „ქეთო და კოტეს“ იმ ღონისძიებებიდან ამოგლეჯილად არ განვიხილავდი, რომელიც თქვენ საუბრის დასაწყისში ჩამოთვალეთ. ეს ერთი მთლიანი პოლიტიკაა, „ქეთო და კოტე“ ამ პოლიტიკის მხოლოდ ერთი ნაწილია; შესაძლოა, უფრო პომპეზური და „ქართული ძალებით“ გამართული, მაგრამ იმავე პოლიტიკის ნაწილი, რომელიც პომპეზურობაზე, თვალისმომჭრელობასა და იაფფასიან პოპკულტურაზეა აგებული. ერთი შეხედვით, დიდ მასაზე ასეთი ღონისძიებები შთაბეჭდილებას ახდენს და ამით ხელისუფლება გარკვეულ ქულებს იწერს. მაგრამ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ერთი გარემოება — ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები, „ქეთო და კოტე“ იქნება ეს, თუ სხვა, რომელსაც ერთნაირად უკრავს ტაშს პატრიარქი და პრეზიდენტი, წარმოუდგენელია, იყოს რევოლუციური. რევოლუციური ნაწარმოებები ყოველთვის ებრძვის გარკვეულ ინსტიტუციებს და ანგრევს მას. ამ შემთხვევაში, ორივე ხელისუფლება, საერო და სასულიერო ძალიან კმაყოფილია და ორივე სპექტაკლს „ახალ მოვლენად“ აფასებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ქეთო და კოტე“ ახალი მოვლენა შეუძლებელია იყოს.

***— მიუზიკლი „ქეთო და კოტე“ უკვე პოსტმოდერნისტული სტილის სპექტაკლად მოინათლა. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებას ამ სპექტაკლით იმის ხაზგასმა სურდა, რომ საქართველო პოსტმოდერნისტული ქვეყანაა?***

— არ ვიცი, ასეც რომ იყოს, ამაში ცუდი არაფერია. საერთოდ, საქართველო კი არა, მთელი მსოფლიო ცხოვრობს პოსტმოდერნიზმში. დასავლეთში უკვე დაიწყო იმაზე საუბარი, რომ პოსტმოდერნი დამთავრდა და, ბოლოს და ბოლოს, თუ რაღაცით აუწყობთ ფეხს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, ამაში ცუდი არაფერია. უბრალოდ, ამაში გამაღიზიანებელია ის, რომ ყველაფერი ზემოდან კეთდება და არა — ქვევიდან, არა ხელოვანების ინიციატივით. როდესაც „ქეთო და კოტეს“ დადგმის იდეა არა დოიაშვილს, არამედ პრეზიდენტს მოსდის, ეს უკვე ცუდი პრეცედენტია.

***— რადგან ხელისუფლება სიმბოლოებისადმი მიდრეკილებას აშკარად ამჟღავნებს, ლეგრან-გვერდწითელის კონცერტი რად შეიძლება მივიჩნიოთ? ხელისუფლების წარმომადგენლები ევროპულ არჩევანზე მეტად ქვეყნის სინგაპურიზაციაზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ ბათუმში ლეგრანის გამოჩენა ქართული კულტურის ევროპულ კულტურასთან კავშირებზე რომ უფრო მიუთითებს...***

— ჰო, მაგრამ, ლეგრანთან ერთად არის თამარ გვერწითელი, რუსეთში ძალიან მიღებული და დაფასებული მომღერალიც, რომელიც ასევე წარმატებით უმღერის დითირამბებს რუსეთს და რუსეთის ხელისუფლებას. ეს ჩემთვის სინგაპურიზაციაზე უფრო მტკივნეული პრობლემაა. როდესაც შარშან თბილისში კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით რუსული კინოს ფესტივალი ჩატარდა, მე მაშინაც ვთქვი, რომ ხელისუფლება არათანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებს. როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები მტრებად აცხადებენ მათ, ვინც რუსეთში მუშაობენ და მოღვაწეობენ, გაუგებარია, რომ ხელისუფლებისავე ინიციატივით იმავე ადამიანებს საოცარი აპლოდისმენტებით ვიღებთ. ლეგრანი, ფრანგულ და ევროპულ კულტურაში მართლაც ერთი დიდი ეტაპია, მაგრამ თუ ჩვენ ევროპასთან ინტეგრაცია ლეგრანის საშუალებით დავიწყეთ, ესეც გაუგებარია, ვინაიდან ბატონი ლეგრანი უკვე გასული საუკუნეა და მას არაფერი საერთო არა აქვს დღევანდელ ევროპასთან, ევროპულ ფასეულობებთან. ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ ჩვენ კულტურაში პრიორიტეტები განსაზღვრული არ გვაქვს და კულტურის პოლიტიკაში არათანმიმდევრულობასა და ჩამოუყალიბებლობას ვავლენთ. გაუგებარია, გვინდა თუ არა ჩვენ იმ პროცესებში ჩავეწეროთ, რაც თანამედროვე მსოფლიო კულტურაში ხდება. გასაგებია, რომ ბევრი მიზეზის გამო ამ პროცესების ავანგარდში ჩვენ ვერ ვიქნებით, მაგრამ გაურკვეველი რჩება ამ პროცესში ჩვენივე მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ აქცენტს იმათზე ვაკეთებთ, ვინც გაგვახსენდება. არადა ფაქტია, რომ იგივე ლეგრანი, არც საფრანგეთის და არც ევროპის კულტურაში დღეს ამინდს არ ქმნის. ამ ადამიანების საშუალებით ევროპასთან ჩვენივე იდენტიფიკაციის მცდელობა ხაზს უსვამს იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ღრმად პროვინციული და „განვითარებად გზაზე შემდგარი ქვეყანა“ ვართ.

***— თქვენი კოლეგა გოგი გვახარიას აზრით, „ქართულ კულტურაში ჟანგბადის კატასტროფული ნაკლებობაა“, ხელისუფლება ფავორიტი მსახიობებისთვის „სივრცეს იმიტომ ავიწროებს, რომ ახალი სახეებისა და კრიტიკის ეშინია“. თქვენც ეთანხმებით კოლეგის მოსაზრებას?***

— დიახ, ვეთანხმები. ხელისუფლებას რომ კრიტიკის ეშინია, ეს ძალიან დიდი ხანია, გამოჩნდა. ამას წინათ, ერთ-ერთ სტატიაში ვსაუბრობდი „პოლიტიკის კარნავალიზაციასა“, ანუ „კარნავალის პოლიტიზაციაზე“. ფაქტობრივად, ხელისუფლებამ შეითავსა ყველანაირი როლი, რომელიც განსხეულდა პრეზიდენტში. ის გახლდა კულტურის კრიტიკოსი, დიზაინერი, იდეების გენერატორი რეჟისორებისა და კომპოზიტორებისთვის. ეს ძალიან არაჯანსაღი პროცესია. მხოლოდ მივესალმები, რომ პრეზიდენტი დაინტერესებულია კულტურის განვითარებით და საქართველოში რენესანსის დაწყება უნდა. მაგრამ, როდესაც თავად პრეზიდენტი ცდილობს, კურირება გაუწიოს ყველა სფეროს, ეს წარმოუდგენელია. ის ხომ არც ერთი სახელოვნებო სფეროს პროფესიონალი არ არის. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი ძალიან მწვავედ იღებს პროფესიონალების ისეთ კრიტიკას, რომელსაც არანაირი პოლიტიკური სარჩული არ უდევს.

ჩემი საქმეა ფილმის იმის მიუხედავად შეფასება, ეს ფილმი ამერიკელმა რეჟისორმა გადაიღო თუ — რუსმა, აგვისტოს ომზეა ეს ფილმი, თუ - იმავე აფხაზეთის ომზე. რასაკვირველია, ყველა კრიტიკოსს აქვს მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური პრინციპები, მაგრამ ეს არაფერ შუაშია იმასთან, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას ხელისუფლებასთან. თუ მე ფილმი "აგვისტოს ხუთი დღე" არ მომწონს და კრიტიკას გამოვთქვამ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი არ მომწონს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფილმზე ჩემ აზრს გამოვთქვამ და ვამბობ, რომ ფილმი არ მომწონს. ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში ამის გარჩევა არც არასდროს ხდებოდა. ყოველთვის აქცენტი პიროვნულ დაპირისპირებაზე კეთდებოდა. ესეც არის ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ ჯერჯერობით ჩვენ არანაირად არ ვართ ევროპული სახელმწიფო. ჩვენ არ ვართ იმ კულტურის მატარებელი, რასაც დასავლური კულტურა და დასავლური ფასეულობები ჰქვია. თუ კრიტიკა არ არსებობს, არც კულტურული პროცესი არ არსებობს. ეს არის ორი, ერთმანეთზე გადაჯაჭვური პარალელური დინება, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს კულტურის განვითარებას და მხატვრული თვალსაზრისით ღირებულისა და სერიოზულის შექმნას. კრიტიკის გარეშე კულტურის განვითარება წარმოუდგენელია. მხოლოდ დითირამბებით კულტურა არ განვითარდება, შევარდნაძის ეპოქა ხომ უკვე გავიარეთ...

***— სახელოვნებო წრეებში ბევრს საუბრობენ თეატრალური უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდიებად გარდაქმნასა თუ სავარაუდო გაერთიანებაზე. თქვენ თუ ხართ საქმის კურსში? და კიდევ, რას ნიშნავს სტუდიური განათლების სისტემა და რითი სჯობია არსებულს?***

— ამაზე დიდი ხანია, საუბრობენ. თავად ვასწავლი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში და ვიცი, რომ ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანების სურვილი არსებობს. შესაძლოა, სასწავლებლები არც გაერთიანდნენ, მაგრამ ორივე სტუდიურ სისტემაზე გადავიდეს და მათ საუნივერსიტეტო სტატუსი ჩამოცილდეს. ჩემი აზრით, ეს ასე მარტივად გადასაწყვეტი არ არის. არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ დასავლეთში კინოსკოლები სტუდიური ტიპისაა და ამგვარ სტუდიებში არაჩვეულებრივ ცოდნას იღებენ. შორიდან რომ უყურებ შესაძლოა, არგუმენტი დამაჯერებელი მოგეჩვენოს, მაგრამ განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების ანალიზისას უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ამა თუ იმ საკითხისადმი "ჰარი-ჰარალე" მიდგომები დამღუპველია. ძველ სისტემას რაღაც ჰქონდა კარგი და ფუნდამენტური. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ყოველთვის კარგი ბაზა არსებობდა. პრაქტიკულ სწავლებასთან ერთად მიმდინარეობდა თეორიული სწავლება. ამაში შედის კინოს ისტორია და თეორია, თეატრისა და ხელოვნების ისტორია და ასე შემდეგ. სტუდიური სწავლება იმას გულისხმობს, რომ მთელი აქცენტი გადატანილი იქნება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ხელობისა და ტექნიკის დაუფლებაზე, ანუ სასწავლო პროცესს აკადემიური სწავლება ჩამოშორდება. მე რეჟისორებს დღეს სწორედ იმას ვსაყვედურობ, რომ არ იციან კინოს ისტორია და კინოს თეორიის ელემენტარული მონაცემები, რომ მათ არა აქვთ ფართო მსოფლმხედველური თვალსაწიერი. ეს რომ ჩვენს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს ჩამოცილდეს, შეიძლებმა სტუდენტებმა ხელობა კარგად ისწავლონ, მაგრამ ფართო განათლების გარეშე ნამდვილად დარჩებიან. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს ყოველთვის აქვს ფინანსური პრობლემა, თუ მოხდება მეტი სახსრების ჩადება, ხელშეწყობა, პრობლემის გადაწყვეტა მძაფრი ქირურგიული ჩარევის გარეშეც გაცილებით უკეთესად შეიძლება.

***— ბევრი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კულტურისა და განათლების სფეროებში იგივე ხდება, რაც ზოგადად — ქვეყანაში. ანუ, კოლონიურ ქვეყანაში, გარდა იმისა, რომ ეკონომიკა არ უნდა არსებობდეს, რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს, როგორც კულტურის კერები, ისე — აკადემიური ინსტიტუტები. თქვენც ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ საქართველო კულტურული თვალსაზრისითაც ტიპურ კოლონიურ ქვეყანას ემსგავსება?***

— ასე მკვეთრად ვერ ვიტყოდი, რომ საქართველო კოლონიურ ქვეყანას ემსგავსება, მაგრამ ნამდვილად იკვეთება ის ტენდენცია, რომ ჩვენ ტურისტული და ეგზოტიკური ქვეყანა გავხდეთ. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, საქართველო ეგზოტიკური და ტემპერამენტით გამორჩეული ყოველთვის იყო, მაგრამ ახლა აქცენტი ბევრი ტურისტის მოზიდვაზეა გადატანილი. ძალიან კარგია, თუ საქართველოში ბევრი უცხოელი ჩამოვა, გაიცნობს ჩვენს კულტურას, მაგრამ მხოლოდ ეს ხაზი რომ ხდება პრიორეტიტული და მხოლოდ ეს ვითარდება, ეს ქვეყნისთვის დამღუპველია. ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩვენ ვართ, ეკონომიკის მხოლოდ ტურიზმის ბაზაზე განვითარება ძალიან მეეჭვება. ეკონომიკის საკითხებში კომპეტენტური არა ვარ, მაგრამ მარტო ე.წ. ტურისტიზაცია არ შეიძლება ქვეყნისთვის კარგი იყოს.

ამის კარგი მაგალითია ეგვიპტე. ეგვიპტეში ტურიზმის ბუმი იყო, მაგრამ ეგვიპტეში ზამთარში განვითარებული მოვლენები ძალიან სიმპტომატური რომ იყო, ფაქტია. განვითარებული ტურიზმის ფონზე სიღატაკემ ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. ჩვენთვის ეგვიპტე ყურადსაღები მაგალითია იმისა, რომ შესაძლოა, ქვეყანაში ბევრი ტურისტი და ფულიც შემოვიდეს, მაგრამ ქვეყანა ღატაკი დარჩეს. თუ სამეცნიერო ინსტიტუტებსა და კულტურას ყურადღება არ მიექცევა, ჩვენ მომსახურე პერსონალის ფუნქციაღა დაგვრჩება.

**ინტერპრესნიუსი**




## ზაზა სვანაძე: რეჟისორია სტურუა, „მხედრიონელი“ — რურუა!

რეჟისორმა ზაზა სვანაძემ კულტურის სამინისტროს შენობის კედელსა და შესასვლელ კარზე საპროტესტო პლაკატები გააკრა.

პლაკატები შემდეგი შინაარსისაა: „რეჟისორია სტურუა, „მხედრიონელი“ რურუა“, „კულტურის მინისტრის კულტურა“ — ამ პლაკატზე დატანილია ავტომატის ფოტო.

რეჟისორ ზაზა სვანაძის განცხადებით, მსოფლიო დონის რეჟისორს თანამდებობიდან არ უნდა ათავისუფლებდეს ყოფილი „მხედრიონელი“ ნიკა რურუა.

— ნიკა რურუა ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა დაიკითხოს, — აღნიშნა სვანაძემ.

მან პლაკატი, წარწერით: „კულტურის მინისტრის კულტურა“ შეიტანა კულტურის სამინისტროში, სადაც თანამშრომლებს გადასცა და მოსთხოვა, ეს პლაკატი მინისტრს გადასცენ.

**ინტერპრესნიუსი**

## სტურუას მოხსნამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ნეობოლშევიზმი მოვიდა



— ის, რომ ქვეყანაში ნეობოლშევიზმი მოვიდა, ამაზე კულტურის მინისტრის ნიკა რურუას ბრძანებაც მეტყველებს, — ასეთი შეფასება მისცა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

ბურჯანაძის განცხადებით, ვინც რობერტ სტურუას შემოქმედებას იცნობს, ერთი წამითაც არ დაიჯერებს მის ქსენოფობიურ მიდრეკილებებს. ბურჯანაძის განცხადებით, ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში არანაირი დემოკრატია არ არის და ქვეყანაშია ნეობოლშევიზმი და დიქტატურა.

— საუკეთესო ტრადიციები გაგრძელდა ნეობოლშევიზმის, როდესაც რუსთაველის თეატრის რეჟისორებს ხვრეტდნენ, აპატიმრებდნენ, გადასახლებაში მიყავდათ. დღეს მოდერნიზებული ბოლშევიზმია გალამაზებული დემოკრატიის ფასადით. დღეს აკმარეს რობერტ სტურუას თანამდებობიდან მოხსნა, ვითომდა ქსენოფობიის ბრალდებით, — განაცხადეს ნინო ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## სტურუას მხარდამჭერი აქციები გაგრძელდება



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შენობასთან შეკრებილი აქციის მონაწილეები აქციების გაგრძელებას აპირებენ, თუმცა მორიგი აქციის თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.

როგორც „პირველს“ წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელმა სოსო მანჯავიძემ განუცხადა, 18 აგვისტოს აქცია სპონტანურ ხასიათს ატარებდა, თუმცა აქციებს ორგანიზებული და კარგად კოორდინირებული სახე მიცემა, რომელშიც მისი ინფორმაციით, რობერტ სტურუაც მიიღებს მონაწილეობას.

— ნიკოლოზ რურუას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეიძლება, ფართომასშტაბიანი აქციები არ მოჰყვეს, — აცხადებს მანჯავიძე.

**პირველი**

## სტურუას მოხსნამ ხელისუფლება კიდევ უფრო დააპატარავა

**შორენა კოწოწაშვილი**



უფლებადამცველი ეკა ბესელია რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუას გათავისუფლებას ღია წერილით ეხმაურება და იმათ გასაგონად, ვისაც თავი ხელისუფალი ჰგონია, აცხადებს: „სულ მგონია, რომ ამოწურეთ თქვენი სიმდაბლით გამოწვეული გაოცების რეზერვი, მაგრამ ბატონი რობერტ სტურუა იმითაც არის დიდი, თქვენი სიპატარავის მორიგი, მეტყველი გამოვლინება სწორედ მისმა სიდიადემ რომ წარმოაჩინა... ასე როგორ შეგაშინათ მისმა სიმართლემ, რომ დღეებსაც ვერ გაუძელით და ბოლმა ვერ დაითმინეთ? ისე ამჩატდით, რომ ომის მესამე წლისთავზე დაკარგული ტერიტორიების გლოვისა და დაბრუნებაზე ფიქრის ნაცვლად, მტრად დანახული დიდი რობერტ სტურუას დამარცხება 9 აგვისტოს ბრძანებით სცადეთ. როგორი პატარა და უმწეოა ის ფურცელი, რომელშიც მოაქციეთ 21 საუკუნის „კალიგულას“ ბრაზი, სიძულვილი, ანგარიშსწორების დაუოკებელი სურვილი“.

— ამ სადამსჯელო“ ბრძანებით თქვენ კიდევ უფრო დაპატარავდით და კიდევ უფრო დიდი გახდა მაესტრო — ქართული თეატრის გული და საქართველოს მოსახლეობის გულთამპყრობელი. მესმის რარიგ ძნელია თქვენთვის, როდესაც აცნობიერებ, რომ ბატონ რობერტ სტურუას უფალმა მომადლა ის, რაც თქვენ არ გერგოთ: უდიდესი, გულწრფელი და უშურველი სიყვარული ხალხის და აღიარება მისი საზღვრებში დაუტეველი ნიჭის. თქვენ გძალგიძთ, წეროთ მსგავსი ბრძანებები, მაგრამ ვერას დააკლებთ ბატონი რობერტ სტურუას გენიალობას და ნიჭს, ვერ წაართმევთ მას ქართველი ხალხის სიყვარულს და აღიარებას, ვერ შეეხებით მის ჩრდილსაც კი იმდენად შორს ხართ მისგან, — აცხადებს ეკა ბესელია. მისი თქმით, რობერტ სტურუას უკვე აქვს ყველაზე მაღალი თანამდებობა საზოგადოების გულებში მოპოვებული. ეს კი ხელშეუხებელია!

— ცუდას რად უნდა მტერობაო — ეს ხომ თქვენც იცით, თეატრალებო: მსახიობებო, რეჟისორებო, მხატვრებო, კრიტიკოსებო... თქვენ ხომ ყველაზე, ყველაზე მეტად უწყით, ვისი კალთის ქვეშ დაფრთიანდით, ვისი თანამედროვე ხართ. თქვენ ხომ იცით, რომ რობერტ სტურუას ვერაფერს წაართმევენ, თქვენ კი წაგართვეს ნიჭი, სიტყვა, ღირსება, სინდისი თეატრისა... შიშით მოერივნენ ახმეტელის თანამედროვეებს. ისტორიამ დაარქვა სახელი მათ. თქვენ რა სიტყვებს ჩაწერთ მემატიანის წიგნში? შეშინებულების? დამცირებულების? ღირსება წაგვრილების? გათითოკაცებულების? არ მინდა მჯეროდეს! ამიტომ ხმამაღლა და არა ჩურჩულით უთხარით ხელისუფალთ თეატრის სამყაროს მესვეურებო: ვაი თქვენს პატრონს — მაესტრო რობერტ სტურუა ბრძანებებს არ ექვემდებარება“, — ნათქვამია ეკა ბესელიას განცხადებაში.

## დიმიტრი ჯაიანი: დაუშვებელია, ისეთი გენიოსი, როგორიც რობერტ სტურუაა, საქართველოდან წავიდეს



კულტურის სამინისტროს შენობასთან მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილე რეჟისორებსა და მსახიობებს დაუშვებლად მიაჩნიათ, რომ რეჟისორმა რობერტ სტურუამ საქართველო დატოვოს და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში გადავიდეს.

— დაუშვებელია, ისეთი გენიოსი, როგორიც რობერტ სტურუაა, საქართველოდან წავიდეს და სხვა ქვეყნაში იმუშაოს, — განაცხადა მსახიობმა დიმიტრი ჯაიანმა. ამ მოსაზრებას იზიარებს მსახიობი გურანდა გაბუნიაც.

— ეს არის მსოფლიო დონის გენიოსი და დაუშვებელია, რომ ის საქართველოდან წავიდეს. არ შეიძლება ასეთი გენიოსის ხელიდან გაშვება. მოსკოვში სიხარულით ელოდებიან რობერტ სტურუას ჩასვლას. ყველა თეატრი ელის, რომ რობერტ სტურუა მათთან სპექტაკლს დადგამს, — განაცხადა გურანდა გაბუნიამ.

აქციის მონაწილე რუსთაველის თეატრის მსახიობები არ გამორიცხავენ, რომ რუსთაველის თეატრიდან რობერტ სტურუას წასვლის შემთხვევაში მათაც დატოვონ თეატრი.

— პირადად მე არ ვაპირებ თეატრში დარჩენას, თუ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრიდან წავა, — განაცხადა მსახიობმა ბესო ზანგურმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

# პაულ ბრაიტნერი: „განსაკუთრებული ტიტული არ მჭირდება“



**ბაიერნის ლეგენდა პაულ ბრაიტნერი მაისამდე მშობლიურ კლუბში სკაუტთა სამსახურში უფროსი კონსულტანტის თანამდებობას იკავებდა. ახლა კი მას აბსოლუტურად თავისუფალი გრაფიკი აქვს, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი კონკრეტული ვალდებულების გარეშე.**

**გერმანულ მედიაში ბრაიტნერთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც მისთვის ახალ და საკმაოდ უცნაურ სამსახურზე საუბრობს.**

***— ბაიერნმა ახალი სამსახური შემოგთავაზათ. შეგვიძლია, რომ მოგილოცოთ?***

— როგორ გითხრათ... ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის ეს რაღაც ძალიან ახალია, რადგან, პრინციპში, ადრეც იმავე საქმეს ვიყავი შეჭიდებული, რასაც ახლა.

***— ყოველ შემთხვევაში ასეთი სახელით თანამდებობა ბუნდესლიგაში აქამდე არავის ჰქონია. რაღაც ამის მსგავსი თანამშრომლობა ფორმდება ხოლმე სახელოვან ფირმებსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებს შორის, რომლებიც სარეკლამო სახეებს წარმოადგენენ ხოლმე.***

— შეიძლება აქამდე არ ყოფილა, მაგრამ ის უკვე არსებობს და ძალიანაც მაწყობს. მიმაჩნია, რომ ეს სავსებით ნორმალური რამაა. რა უნდა იყოს იმაზე მშვენიერი, როცა ბაიერნის სახელით რეკლამის გაკეთება შემიძლია? ეს სოლიდური საქმეა და მას სიამოვნებით შევასრულებ.

***— რისი თქმა გსურთ, უარი თქმა მოგიწევთ მმართველი საბჭოს არაოფიციალური მრჩევლის თანამდებობაზე?***

— არ მჭირდება არანაირი სახელი და რაღაც განსაკუთრებული ტიტული. მე არ ვარ ვალდებული კონსულტაცია გავუწიო კარლ-ჰაინც რუმენიგეს, კარლ ჰოპფნერსა და ული ჰიონესს. თუმცა, ყოველთვის დავაფიქსირებ ჩემს აზრს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუკი ვინმე დაინტერესდება ამით. ჩვენ ხომ ერთმანეთს ლამის უკვე საუკუნეა ვიცნობთ. უბრალოდ მე შეფსკაუტი აღარ მქვია.

***— ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენივე ინიციატივით უარს ამბობთ გუნდის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობაზე?***

— არა, არ ნიშნავს ამას. უწინდებურად ვივლი ქვეყნიდან ქვეყანაში ჩვენს პარტნიორებთთან ერთად. ამას მართლა სიამოვნებით გავაკეთებ. რაც შეეხება კლუბში ოპერატიულ, ყოველდღიურ საქმიანობას, ამისთვის სრულიად საკმარისია ზემოთ ნახსენები სამეულის გარჯა. ბაიერნის ინტერესებს ისინი გერმანიის საფეხბურთო კავშირის კომიტეტებშიც დაიცავენ, პროფესიული ლიგაშიც და უეფაშიც.

***— ესე იგი კლუბის სარეკლამო წარმომადგენლობა თქვენი ერთადერთი საქმე არ იქნება.***

— მართალი ხართ. ყველაფერთან ერთად მე ბაიერნის ვეტერანების გუნდს ვხელმძღვანელობ, სადაც 25-30 ფეხბურთელია. ისინი, ვისაც ამის დრო კიდევ გვაქვს, როცა მიზეზი მოგვეცემა, ბურთს ვაგორებთ ხოლმე.

***— მაისის ბოლოს სწორედ თქვენმა გუნდმა რეალის ვარსკვლავებთან სანტიაგო ბერნაბეუზე ძლიერი წვიმის აკომპანიმენტით 3:7 წააგეთ. მეტოქე მართლა დიდი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, მათ შორის იყვნენ ზიდანი და ფიგუ. თანაც ტრიბუნებზე 80.354 მაყურებელი იჯდა.***

— დიახ, ეს თამაში რეალის წინააღმდეგ ჩემთვის, თუმცა რატომ მხოლოდ ჩემთვის, სხვებისთვისაც, იყო ყველაზე დასამახსოვრებელი დღე ჩვენი აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ.

***— ისე ჩანდა, თითქოს მინდვრის დატოვება საერთოდ არ გინდოდათ.***

— არა, თამაშის ბოლომდე მინდორზე დარჩენა არც მიცდია. მე ხომ საამისოდ მზად არ ვარ, რადგან კვირაში მხოლოდ ერთხელ დავრბივარ. თანაც განაცხადში 18 ფეხბურთელი გვყავდა და თავის რიგს ყველა ელოდა. თამაშით შანსი ყველას უნდა მისცემოდა.

***— კაპიტნის სამკლავური მარტინ ჰეგელესგან მიიღეთ, ადამიანისგან, რომელიც ბაიერნში საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯმენტშია და ამჟამად ტაკაში უსამიზე მზრუნველობა ევალება.***

— წლის განმავლობაში სპონსორების ან გულშემატკივრებისთვის ვეტერანთა გუნდი საშუალოდ 6 ან 8 შეხვედრას ატარებს. მიღებული შემოსავლები ბაიერნის მიერვე დაარსებულ საქველმოქმედო ფონდში ირიცხება. ასეთი საბენეფისო მატჩების ორგანიზებაში მეხმარებიან კლუბის სხვა თანამშრომლებიც, ისინი ვინც სპონსორებთან და გულშემატკივრებთან ურთიერთობაზე არიან პასუხისმგებლები. უპირველესად რაიმონდ აუმანზე ვლაპარაკობ. ის რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას, სად უნდათ, რომ ჩვენი გუნდის ჩავიდეს. ასე რომ, ამ საქმიანობაში მარტო არ ვარ და მოწყენაც არ მემუქრება. ეს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო საქმიანობაა. 2012 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალზე, რომელიც მიუნხენში გაიმართება, საპატიო წარგზავნილი უნდა ვიყო. ასე რომ, ვაგრძელებ ტრადიციას და ესტაფეტას გარი ლინეკერისგან ჩავიბარებ, ვისაც ანალოგიური თანამდებობა ჰქონდა ლონდონში გამართულ ფინალზე. იქამდე მადრიდში, როცა ინტერთან 2:0 დავმარცხდით, ეს როლი ემილიო ბუტრაგენიოს ჰქონდა.

***— როგორ შეაფასებთ რეკორდმაისტერს?***

— ბაიერნში 2007 წელს დავბრუნდი და იმ წელს რიბერი, ტონი, კლოზე ვიყიდეთ და გერმანიაში დუბლი შევასრულეთ.

***— თქვენ პარალელის გავლება ხომ არ გსურთ მაშინდელ და ახლანდელ შენაძენებს შორის? წელს ხომ ბაიერნმა ნოიერი, ბოატენგი, რაფინია, პეტერსენი და უსამი გადაიბირა, ტრანსფერებში კი სულ 44,1 მილიონი დახარჯა.***

— დიახ, ზუსტადაც ასეა. ველოდები, რომ სეზონის ბოლოს ჩემპიონის ტიტულს დამაჯერებელ სტილში დავიბრუნებთ. ეს, ასე ვთქვათ, საბაზო და ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულია.

***— ჩემპიონთა ლიგაც სასურველი იქნებოდა, მით უფრო, რომ მიუნხენის ოფიციალურ წარგზავნილს შეეძლება საკუთარი გუნდს სეზონის უმთავრეს შეხვედრაში გამოუძღვეს წინ.***

— ჩვენი დევიზი ასეთია, წინ ვიაროთ იქამდე, ვიდრე ფეხებს შეუძლია ჩვენი თრევა. ბუნებრივია, რომ საკუთარ სტადიონზე ფინალში თამაში ჩვენთვის დიდებული შანსი იქნებოდა, მაგრამ ბუნდესლიგისგან განსხვავებით, ლიგაში გუშინდელი წაფორხილების კომპენსირება დღეს უკვე შეუძლებელია ხდება ხოლმე. ყურადღების ოდნავ მოდუნება, კონცენტრაციის დაკარგვა და უკვე ტურნირს მიღმა დარჩები. ასე მოგვივიდა ზუსტად ინტერთან 2010 წელს, როცა შინ 3:2 წავაგეთ.

# ელ კლასიკო სუპერის ელფერს იძენს

**ბარსელონა-რეალი 3:2**

**1:0 ინიესტა (15), 1:1 რონალდო (20), 2:1 მესი (45), 2:2 ბენზემა (82), 3:2 მესი (88)**

**ბარსელონა:** ვალდესი, დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, აბიდალი, ხავი, ბუსკეტსი (ბუსკეტსი, 85), ინიესტა, პედრო (ფაბრეგასი, 82), მესი, ვილია (ადრიანო, 73).

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდუ კარვალიუ, კოენტრაო, ხედირა (მარსელო, 46), ჩაბი ალონსო, დი მარია (იგუაინი, 64), იოზილი (კაკა, 78), რონალდუ, ბენზემა.

**გაძევება:** მარსელო (93), იოზილი (94), ვილია (95)

ესპანეთის სუპერთასის განმეორებითი შეხვედრის შემდეგ, ერთმანეთის მოძულე მტრები, ბარსელონა და რეალი მოპოვებული ტიტულების რაოდენობით გათანაბრდნენ. ამჟამად, როგორც მადრიდელების, ასევე კატალონიელების მუზეუმში ოფიციალური ტურნირის მოგებისთვის განკუთვნილი 73 თასი ინახება.

ესპანეთში, ისევე როგორც სხვა არაერთ ქვეყანაში, სუპერთასს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ როდესაც საქმე ელ კლასიკოს ეხება, მაშინ მას სუპერთასის დატვირთვა აღარ აქვს.

სუპერთასი, სუპერკლასიკო, სუპერმატჩი — ეს ყველაფერი ახალ სეზონში უკვე მეორედ ვნახეთ. თუმცა, კამპ ნოუზე გამართული მატჩში მაინც სხვა იყო — დატვირთული საფეხბურთო შედევრებით, დამთავრებული ხელჩართული ჩხუბით.

და მაინც: მატჩის ბედი ერთმა ფეხბურთელმა დაგადაწყვიტა. და ვინ თუ არა, ლეო მესიმ. ორი გოლი და ერთი საგოლე პასი 24 წლის არგენტინელის ანგარიშზეა.

სუპერთასის პირველი მატჩისგან განსხვავებით, ორივე მწვრთნელმა თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა დააყენა. მადრიდული შეხვედრის შემდეგ, მოურინიომ ერთი ცვლილება განახორციელა — დაცვის მარცხენა ფლანგზე, მარსელოს ნაცვლად, მან კოენტრაუ გაამწესა. რაც შეეხება ბარსას, მას პიკე, ბუსკეტსი, ჩავი და პედრო დაუბრუნდნენ, რის შემდეგაც, შემადგენლობის ოპტიმალურობას მხოლოდ პუიოლი დააკლდა, რომლის ადგილიც მასკერანომ დაიკავა.

უფრო თვალსასეირო პირველი ტაიმი გამოდგა, მეორე არანაკლები, თუმცა უფრო დრამატულს დავარქმევდით.



მადრიდული თამაშის მსგავსად, რომელიც 2:2 დასრულდა, დასაწყისში ამჯერადაც რეალი აქტიურობდნენ და პირველ წუთებში სურდათ შინ დაკარგული ფორა აენაზღაურებიათ. მატჩის დაწყებიდან წამმზომს ერთი წრეც არ ექნებოდა შემოვლილი, როდესაც რეალის პრესინგმა შედეგი გამოიღო და მასპინძელთა საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაზე რონალდუ დარჩა, მაგრამ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ვალდესს ვერ აჯობა. რეალის უპირატესობამ დაახლოებით ათ წუთს გასტანა, რის შემდეგაც, ბარსამ ბურთზე ჩვეული კონტროლის დაწესება, თამაშის ტემპის დაგდება და თავისთვის სასურველ რიტმში გადაყვანა მოახერხა. მე-13 წუთზე, კატალონიელებმა პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ კარის გასწვრივ პედროს მიერ გაკეთებულ გადაცემას მესი ვერ შესწვდა.

ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა, როდესაც მესიმ მოედნის ცენტრში 2 მეტოქე იოლად მოატყუა და ძალიან კარგი პასით ინიესტა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ხოლო ბარსას ნახევარმცველმა, კასილიასისთვის ბურთის თავზე გადაგდებით, კლასიკოში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

მე-20 წუთზე, დი მარიას ეფექტური პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ხედირამ ვალდესი კი მოატყუა, მაგრამ გერმანელმა ნახევარმცველმა ბურთი ველარ დაიმორჩილა და დარტყმის ნაცვლად, იძულებული გახდა ბენზემასთვის გადაემისამართებინა, ხოლო ფრანგის უხეიროდ გარჯის შემდეგ სახიფათო მომენტი განიმუხტა. სამაგიეროდ, ამ შეტევას ის კუთხური მოჰყვა, რომლის წყალობითაც რეალმა ანგარიში გაათანაბრა. გუშინდელ შეხვედრაში, საკუთარ კართან კუთხურის მოწოდების დროს, ბარსას მცველები არცთუ კარგად მოქმედებდნენ, რის წყალობითაც, ამ სტანდარტით მადრიდელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს და 2 მათგანი გოლადაც აქციეს. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში მე-2 გოლი რეალმა სწორედ კუთხურის შემდეგ გაიტანა. იოზილის ჩაწოდებულს საპირისპირო მხარეს ბენზემა დაუხვდა, რომლის დარტყმული გზად ჯერ ალვეშს, შემდეგ რამოსსა და ბოლოს რონალდუს შეეხო და ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1.

რეალის მიერ გოლის გატანიდან არ იყო გასული ერთი წუთი, როდესაც ინიესტამ პედრო შენიშნა, ბარსას შემტევმა მადრიდელთა ახალწვეული კონტრაუ იოლად მოატყუა და საჯარიმოს წინა ხაზიდან ძალიან კარგად დაარტყა, მაგრამ იკერ კასილიასმა რთული დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

26-ე წუთზე უკვე კატალონიელები გადარჩნენ — საჯარიმოს წინა ხაზიდან რონალდუს ძალზე ძლიერი დარტყმის შემდეგ, ბურთი ჯერ ვალდესს, შემდეგ კი მისი კარის ხარიხას მოხვდა. სამ წუთში, იოზილს შეეძლო ზედიზედ მე-2 კლასიკოში გატანა, მაგრამ მახვილი კუთხიდან მისი დარტყმის შემდეგ ვალდესმა იყოჩაღა. 37-ე წუთზე მესის შეეძლო ბარსელონელები დაეწინაურებინა, მაგრამ კასილიასმა არგენტინელსაც აუღო.

ბარსას ლიდერმა თავის პირველივე ტაიმში გამოჩენა მაინც მოახერხა. 45-ე წუთზე, კატალონიელებმა ძალიან ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს — კუთხურის მოწოდების შემდეგ, მესი ბურთს საჯარიმოს წინა ხაზთან დახვდა და იგი ერთი შეხებით, მკერდით პიკეს დაუტოვა, რომელსაც ბევრი არ უფიქრია და თანაგუნდელს ქუსლით დაუბრუნა, თანაც ისე, რომ ამ ორ მოძრაობაში მადრიდელთა ნახევარი დაცვა მოიჭრა და კასილიასთან პირისპირ გასულმა მესიმ წინ მასპინძლები გაიყვანა.

მე-2 ტაიმის პირველ ოც წუთში აღსანიშნავი მხოლოდ პეპეს უხეშობა იყო. 62-ე წუთზე, პორტუგალიელმა მესის იდაყვი აშკარად განზრახ მოუქნია, მაგრამ ვინაიდან არგენტინელს მოქნეული არა სახეში, არამედ მხარში მოხვდა, პეპე წითელ ბარათს გადაურჩა.

66-ე წუთზე, ინიესტას ეფექტური სოლორეიდისა და პასის შემდეგ, საჯარიმოში შეჭრილმა მესიმ კასილიასს კარგადაც დაურტყა, მაგრამ მეკარემ ამჯერად დიდებულად ითამაშა. 69-ე წუთზე, მადრიდელთა მიერ კუთხურის მოწოდებას მოვლენების ნაცნობი სცენარით განვითარება მოჰყვა, მაგრამ ძალზე ხელსაყრელ სიტუაციაში დარჩენილმა ბენზემამ ცუდად დაარტყა. 70-ე წუთზე, ბარსას კართან მორიგი კუთხურის მოწოდების შემდეგ, რამოსმა სახიფათოდ, თუმცა მცირედით არაზუსტად დაარტყა.

82-ე წუთზე, რეალმა კიდევ ერთი კუთხური მოაწონა, რასაც შეცვლაზე ვილიას ნაცვლად შესული და შეტევაში გამწესებული ადრიანოს ძალზე უხეირო თამაში მოჰყვა. ბრაზილიელმა, კუთხურის ცუდად მოწოდების მიუხედავად, ბურთის მოგერიების დროს შეცდომა დაუშვა და პეპეს ბენზემასთვის გადაცემის გაკეთების საშუალება მისცა, ხოლო ფრანგი თავდამსხმელის ახლო მანძილიდან დარტყმულს ვალდესმა ვერაფერი მოუხერხა.

მიუხედავად გოლის გაშვებისა, 82-ე წუთზე, კამპ ნოუზე შეკრებილი გულშემატკივრებისგან აპლოდისმენტები მაინც გაისმა — პედროს ნაცვლად, მოედანზე სესკ ფაბრეგასი შევიდა.

გატანილი გოლით გამოწვეული სიხარული სტუმართათვის მცირე ხანს გაგრძელდა. 88-ე წუთზე, ფაბრეგასმა ბარსას მაისურით პირველ საგოლე შეტევაში მიიღო მონაწილეობა. ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთით ადრე, მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე ბარსას დაბრუნებულმა შეგირდმა ცენტრში მყოფ მესის მიართვა ბურთი, არგენტინელმა ერთი შეხებით ბურთი კვლავ ფლანგზე, ამჯერად ადრიანოსთან დააბრუნა, რომელსაც ბევრი არ უფიქრია, ისე ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ბურთს კვლავ მესი დახვდა და დაახლოებით 10 მეტრიდან ვარდნაში დარტყმით, არგენტინელმა გუნდს ესპანეთის სუპერთასი მოაგებინა. მესისთვის ეს იყო რეალის კარში გატანილი მე-13 გოლი, ხოლო ბოლო ოთხ კლასიკოში არგენტინელმა კასილიასის კარი მეხუთედ აიღო.

სუპერკლასიკოს დასრულებამდე ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი და მოედანზე მდგომარეობა დაიძაბა. ფინიშზე გასვლისას ჩხუბი კი ტრადიციად უკვე კლასიკოშიც იქცა და გამონაკლისი არც გუშინდელი მატჩი ყოფილა. მე-4 დამატებულ წუთზე, მოედნის ცენტრში, მარსელო ფაბრეგასს ეუხეშა. ბრაზილიელი მარცხენაფლანგელის საქციელს მსაჯის მიერ მყისიერად წითელი ბარათის ამოღება და ბარსას სათადარიგოთა სკამის წამოშლა მოჰყვა. ბუნებრივია, საქმის გარჩევასა და გაწევ-გამოწევაში რეალის წარმომადგენლებიც ჩაერივნენ და სიტუაცია არბიტრისთვის უკონტროლო გახდა. მარსელოს მოედნიდან გაძევებიდან რამდენიმე წამში, წაქცეულ ფაბრეგასთან მყოფ იოზილს ვილიამ სახეში ხელი დაარტყა, რის შემდეგაც გერმანელი ისე გაცხარდა, რომ მას ზღვარგადასული უხეშობით განთქმული პეპე და გასახდელიდან დაბრუნებული გაძევებული მარსელოც კი აწყნარებდნენ. შედეგად, ვილიამაც და იოზილმაც წითელი ბარათები მიიღეს.

შეხვედრის ბოლო საინტერესო ეპიზოდის მთავარი გმირობა ჟოზე მოურინიომ არავის დაუთმო. მარსელოს უხეშობით გამოწვეული არეულობის დროს, პორტუგალიელი პეპ გვარდიოლას თანაშემწესთან, ტიტო ვილანოვასთან მივიდა და ყური აუწია, რასაც საპასუხოდ ხელის კვრა მოჰყვა.

ჰო, სესკ ფარეგასმა ბევრი იწვალა და არსენალთან ერთად ტიტული ვერ მოიგო, ხოლო ბარსელონაში მოედანზე 8 წუთი გაატარა და უკვე სუპერთასის მფლობელი გახდა. მართალია, პირველივე ჯილდო კინაღან ძვირი დაუჯდა, მაგრამ შინ დაბრუნებას ალბათ არ ნანობს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ციურიხი | 2:0 |
| ვისლა-აპოელი | 1:0 |
| დინამო(ზ)-მალმიო | 4:1 |
| მაკაბი-გენკი | 2:1 |

მაკაბელთა მეორე გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა

| | |
|---|---|
| ოდენსე-ვილიარეალი | 1:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ბრაიტონი | 1:3 |
| ლესტერი-ბრისტოლი | 1:2 |
| მილუოლი-პიტერბრო | 2:2 |
| ბლექპული-დერბი | 0:1 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**ესპანეთი. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 3:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ავაი-ვასკო | 0:2 |
| ატლეტიკო(პ)-კრუზეირო | 2:1 |
| სეარა-გრემიო | 3:0 |
| ფლუმინენსე-ფიგუირენსე | 3:0 |
| ატლეტიკო(მ)-კორინთიანსი | 2:3 |
| ინტერნასიონალი-ბოტაფოგო | 1:0 |
| სანტოსი-კურიტიბა | 2:3 |

**არგენტინა. აპერტურა**

| | |
|---|---|
| კოლონი-ოლ ბოიზი | 1:1 |
| ბელგრანო-ოლიმპო | 1:1 |
| რასინგი-გოდოი | 3:0 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ჩინეთი | 87:53 |
| საფრანგეთი-ავსტრალია | 71:67 |
| დ.ბრიტანეთი-ხორვატია | 70:75 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. ცინცინატი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ალმაგრო-კარლოვიჩი | 6:3;5:7;7:6 |
| ლოპესი-კოლშრაიბერი | 1:6;4:6 |
| მონფილსი-დოდიგი | 4:6;6:3;6:0 |
| ფიში-დავიდენკო | 6:0;6:2 |
| ნადალი-ბენეტო | 6:4;7:5 |
| შტეპანეკი-გოლუბევი | 6:3;7:6 |
| მიურეი-ნალბანდიანი | 6:4;6:1 |
| ვერდასკო-ლოდრა | 6:4;6:4 |
| ფერერი-დიმიტროვი | 4:6;6:1;7:5 |
| გასკე-ანდერსონი | 7:6;6:4 |
| ცონგა-ბოგომოლოვი | 3:6;4:6 |
| სიმონი-ტიპსარევიჩი | 6:7;6:2;6:3 |
| ჯოკოვიჩი-ჰარისონი | 6:2;6:3 |

**ვტა. ცინცინატი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ვიკმაიერი-მარტიჩი | 6:3;2:6;2:6 |
| ვოზნიაცკი-მაკჰეილი | 4:6;5:7 |
| კუზნეცოვა-ცეტკოვსკა | 4:6;6:3;6:4 |
| პენგი-ერანი | 6:2;6:4 |
| ჰანტუჩოვა-პენეტა | 6:3;6:4 |
| ივანოვიჩი-პეტროვა | 3:6;6:7 |
| იანკოვიჩი-ჩჟენი | 4:6;6:3;6:1 |
| ზვონარევა-მაკაროვა | 6:3;6:0 |
| პეტკოვიჩი-არვიდსონი | 6:2;6:4 |
| პირი-პარმანტიე | 6:2;6:3 |

## დღის კალენდარი

**19 აგვისტოსთვის**



წლის 221-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 144 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

**პარასკევი.**

**ხსნილი თევზით.**

**ყურძნისა და სხვა ნაყოფთა კურთხევა.**

ფერისცვალება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მახარობელი ლუკა ასე აგვიწერს უფალი იესო ქრისტეს ფერისცვალებას: და წარიყვანა იესო პეტრე, იაკობ და იოანე და აღვიდა მთასა ლოცვად და იყო ლოცვასა მისსა ხილვაი პირისა მისისაი სხუა და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე„ (ლუკა, 9,28-29).

წმიდა ეკლესია გვასწავლის, რომ უფლის ფერისცვალების ნათელი არ იბადება, არც ქრება, არც გრძნობის ნიჭს ექვემდებარება და მართალია, იგი მცირე დროში ხორციელმა თვალებმა იხილეს მცირე სიმაღლის მთის წვერზე, მაგრამ უფლის მესაიდუმლეებმა (მოსწავლეებმა) სულის ძალისხმევით გრძნობები შეიცვალეს, გადალახეს ხორცისა და სულის სამანი და ამგვარად ნახეს, რაოდენი სიკეთე უყო ღვთაებრივი სულის ძალამ ამ ენით აუწერელმა ნათელმა.

### დაიბადნენ:

1646 — ჯონ ფლემსტედი, ინგლისელი ასტრონომი. 1675 წელს მან დააარსა ცნობილი გრინვიჩის ობსერვატორია. გარდაიცვალა 1691 წელს.

1696 — ვახუშტი ბაგრატიონი, დიდი მეცნიერი-ენციკლოპედისტი. გარდაიცვალა 1757 წელს.

1780 — პიერ ჟან დე ბერანჟე, ფრანგი პოეტი.

1810 — გიორგი ერისთავი, 1832 წლის შეთქმულების თავკაცთაგანი. პგარდაიცვალა 1870 წელს.

1871 — ორვილ რაიტი, ავიაციის ერთ-ერთი პიონერი.

1877 — სიმონ ამირეჯიბი, მეცნიერი, ბაქტერიოლოგიისა და ჰიგიენის ფუძემდებელი საქართველოში. გარდაიცვალა 1936 წელს.

1883 — გაბრიელ (კოკო) შანელი, ცნობილი ფრანგი პარფიუმერი. გარდაიცვალა 1971 წელს.

1946 — ბილ (უილიამ) ჯეფერსონ კლინტონი, შეერთებული შტატების პრეზიდენტი 1993-2000 წლებში.

### გარდაიცვალნენ:

1662 — ბლეზ პასკალი, გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი.

1936 — ფედერიკო გარსია ლორკა, თვალსაჩინო ესპანელი პოეტი და დრამატურგი.

1994 — ლაინუს პოლინგი, ამერიკელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიასა (1954) და მშვიდობის დარგში (1962).

### მოვლენები:

1692 — ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ სეილემში ხუთი ქალი ჯადოქრობისთვის კოცონზე დაწვეს.

1787 — ბრიტანელმა ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა ენცელადუსი — სატურნის თანამგზავრი.

1839 — სანკტ-პეტერბურგის ახლოს გაიხსნა პულკოვოს ასტროფიზიკური ობსერვატორია.

1919 — გამოცხადდა ავღანეთის დამოუკიდებლობა.

1944 — პარიზი აჯანყდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

1966 — აღმოსავლეთ თურქეთში მიწისძვრამ 2.529 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1988 — შეწყდა ირან-ერაყის რვაწლიანი ომი.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ავღანეთი — დამოუკიდებლობის დღე

აშშ — ავიაციის ეროვნული დღე

ვიეტნამი — 1945 წლის რევოლუციის დღე

ვინალია — მელვინობის დღესასწაული ძველ რომში

**მედიანიუსი**

# მაჰმუდ აჰმადინეჟადი: „ერები სამართლიანობას ითხოვენ“

**ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა ირანულ-რუსული ურთიერთობების ბოლოდროინდელი გააქტიურების ფონზე ინტერვიუ მისცა რუსეთის ტელეარხ „რაშა ტუდეი“-ს. ამ ინტერვიუში ახლო აღმოსავლეთის ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფოს პრეზიდენტი ბევრ საყურადღებო საკითხს ეხება. ჩვენს მკითხველებს ექსკლუზიურად ვთავაზობთ მაჰმუდ აჰმადინეჟადის პასუხების ქართულ თარგმანს შემოკლებით, რომელიც ევრაზიის ინსტიტუტმა მოამზადა.**



ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი:

მსოფლიოში გამეფებულ უსამართლობაზე და ამით გამოწვეულ საყოველთაო უკმაყოფილებაზე:

ახლახან ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენების მოწმენი გავხდით ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. არსებობს რამდენიმე მოვლენა, რომელიც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. არა მხოლოდ აღნიშნული რეგიონების მცხოვრებნი, არამედ მთელი მსოფლიოა უკმაყოფილო მსოფლიოში ამჟამად არსებული ვითარებით. არსებული ვითარება უსამართლოა. მსოფლიოში ძლიერია კლასობრივი უთანასწორობა, ზეწოლა, კონფლიქტები და ომები. მთელი ერები ყოველდღიურად განიცდიან დამცირებას. დღეს ყველა ერს სურს ღირსეული ცხოვრება, ერები სამართლიანობას ითხოვენ, ყველა ერი ესწრაფის სამართლიანობას მათ შორის ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ერები. ამ ხალხებმა აჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი ქვეყნების მართვა, შეუძლიათ თავიანთი მიზნების მიღწევა.

**ლიბიაში დასავლეთის ჩარევის შესახებ:**

უნდა აღინიშნოს რეგიონის საშინაო საქმეებში ნატო-ს ჩარევის ფაქტები. ნატო ჩაერია ლიბიის შიგნით მიმდინარე მოვლენებში. გაეროს უშიშროების საბჭომ შეცდომა დაუშვა: ნაცვლად ბომბდამშენებისა მას ლიბიაში შუამავალთა ჯგუფი უნდა გაეგზავნა, რათა ქვეყანა მოემზადებინათ თავისუფალი არჩევნებისთვის, გაეროს ეგიდის ქვეშ. ლიბიის ხალხი არჩეულ კანდიდატს აღიარებდა. ამის ნაცვლად უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რამაც სიტუაციის გართულება ადამიანების დაღუპვა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განადგურება გამოიწვია“.- რეგიონში დასავლეთის მიერ ორმაგი სტანდარტების გამოყენების შესახებ:„არა მხოლოდ ირანს აქვს განსაკუთრებული აზრი სირიაში მიმდინარე არეულობებთან დაკავშირებით. ბევრი ქვეყანა აფასებს ვითარებას განსხვავებულად. მაგალითად, აშშ და ევროპა სხვადასხვაგვარად უყურებენ ლიბიის, ბაჰრეინისა და სირიის არეულობებს, მათ სამი სხვადასხვა პოზიცია აქვთ ამ სამ ქვეყანასთან მიმართებით. ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი შიდარეგიონულ ბალანსსა და მესამე ქვეყნების მიერ დაკავებულ პოზიციებშია საძიებელი.

**ირანული დემოკრატიის შესახებ:**

როგორ მიგაჩნიათ, განა მოსახლეობის რამდენი პროცენტი უნდა მოვიდეს არჩევნებზე? როგორი უნდა იყოს მოსახლეობის აქტიურობა? განა 85% ცოტაა? მსოფლიოში არსებობს დემოკრატიის 35 ტიპი. ბრიტანული დემოკრატია განსხვავდება გერმანულისგან, როგორც ამერიკული დემოკრატია რუსულისგან. ჩვენს ქვეყანაშიც არის საკუთარი დემოკრატია. მე ვფიქრობ, რომ ადამიანის უფლებათა პრობლემა უნივერსალურია. ევროპაში, ისევე როგორც აშშ-ში, აზიასა და აფრიკაში, ირღვევა ადამიანთა უფლებები, ეს უფლებები მთლიანად დაცული არსად არ არის. არა მგონია, ისეთი ქვეყანა დამისახელოთ, სადაც ადამიანის უფლებები სრულად იყოს დაცული.მაგრამ თქვენ ზოგიერთი გვარი ახსენეთ (კერძოდ, აჰმადინეჟადის კონკურენტის მუსავის, რომელმაც 2009 წლის არჩევნებზე სცადა მასობრივი ბუნტის პროვოცირება და ამიტომ შინაპატიმრობაში იმყოფებოდა ევრაზიის ინსტიტუტის შენიშვნა). მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა სასამართლო სისტემამ საკმაოდ მკაფიო ახსნა მოუძებნა ამჟამინდელ სიტუაციას. ირანში არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, იურიდიული პროცესები გამჭვირვალეა (სწორედ ეს არის არსებითი სხვაობა ირანულ დემოკრატიასა და სააკაშვილის პროამერიკულ „დემოკრატიას“ შორის ევრაზიის ინსტიტუტის შენიშვნა). თუკი ვინმე არღვევს კანონს, ეს სისტემა ვალდებულია, შესაბამისი ზომები მიიღოს. არავის შეუძლია, უბრძანოს ჩვენს მოსამართლეებს, მეც არ შემიძლია ეს, ვინაიდან სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია“.

ბაჰრეინის საქმეებში ირანის „ჩარევის“ შესახებ:

აი თქვენ ამბობთ ხრომ სპარსეთის ყურის რიგ სახელმწიფოთა ხელმძღვანელობა შეშფოთებულია ირანის განცხადებებითჯ მაგრამ განა ჩვენ რამე დავაშავეთ, როდესაც განვაცხადეთ, რომ არ შეიძლება ბაჰრეინში ადამიანების დახოცვა? რა გაკეთდა ამით ცუდი? თქვენ ამას ეძახით „ჩარევას“? ვინ იყენებს სამხედრო ძალას ბაჰრეინში? ჩვენ? ვინ ერევა რეგიონის საშინაო საქმეებში? მაჩვენეთ თუნდაც ერთი ადგილი მსოფლიოში, სადაც ირანის შეიარაღებული ძალები იმყოფებოდნენ. არ არსებობს ასეთი ადგილი მსოფლიოში. მაგრამ დიდი ბრიტანეთი, შეერთებული შტატები და ნატო ალყას გვარტყამენ ყოველი მხრიდან. ისინი ჩვენს გარშემო დგანან. და ეს ძალები ამბობენ, რომ ირანი ერევა რეგიონის საშინაო საქმეებში. ამაზე რა კომენტარის გაკეთება შეიძლება?

**ატომური იარაღისადმი ირანის დამოკიდებულების შესახებ:**

ჩვენ არ გვსურს ატომური იარაღი და არ ვეძებთ მისი მოპოვების შესაძლებლობას. ეს იარაღი ადამიანების წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, ჩვენი რწმენიდან გამომდინარე. ჩვენი რელიგია ამბობს, რომ ეს არ შეიძლება. ჩვენ კი რელიგიურნი ვართ. მეორეც, დღესდღეობით ატომურ იარაღს არ გააჩნია შესაძლებლობები. თუკი რომელიმე ქვეყანა შეეცდება, შექმნას ატომური ბომბი, იგი ფაქტობრივად უამრავ ფულსა და სხვა რესურსებს დახარჯავს. ამასთან იგი თავის თავს შეუქმნის უდიდეს საფრთხეს. საერთაშორისო ბალანსი განისაზღვრება არა ატომური არსენალის არსებობით, არამედ ადამიანების სიცოცხლით.ამერიკელებს აქვთ ატომური ბომბები. მაგრამ შეძლეს მათ ერაყსა და ავღანეთში გამარჯვება? განა დაეხმარა ისრაელელებს ატომური იარაღი ლიბანსა და ღაზაში? განა იხსნა ატომურმა იარაღმა საბჭოთა კავშირი დაშლისაგან?ატომური იარაღი ისაა, რაც იყო გასულ საუკუნეში. ხოლო ახალი საუკუნე ცოდნისა და აზრის საუკუნეა. ეს ადამიანების საუკუნეა, კულტურისა და ლოგიკის საუკუნე. ბირთვული იარაღი არ იქნება განმსაზღვრელი ძალა მსოფლიოში. ძალა ადამიანებშია და არა იარაღში. ჩვენი ქვეყნის და ხალხის მიზანია მშვიდობა ყველასათვის. ეს ჩვენი ლოზუნგია. ბირთვული ენერგია ყველასათვის, ბირთვული იარაღი არავისთვის. ესაა ჩვენი მიზანი.ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, აკვირდება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, ჩვენი ყველა ქმედება ბირთვული ენერგეტიკის სფეროში შესაბამისი ორგანოების კონტროლს ექვემდებარება. საერთაშორისო სააგენტოს არც ერთი დოკუმენტი არ გააჩნია ირანის საწინააღმდეგოდ. ასე რომ, ეს უბრალოდ შეერთებული შტატების მხრიდან დაუსაბუთებელი პრეტენზიებია. მათ არ აქვთ არანაირი საბუთი, რომ ირანი ატომური იარაღის შექმნის გზას ადგას.

**ირანის ატომურ ელექტროსადგურებზე აშშ და ისრაელის მიერ შესა ლო საჰაერო დარტყმებზე რეაგირების შესახებ:**

ჩვენი პასუხი გამანადგურებელი იქნება. ეს კი ნორმალური რეაქციაა. ჩვენს ენაში არსებობს ანდაზა: თუკი ვინმემ პატარა ქვა გესროლა, შენ საპასუხოდ უფრო დიდი ქვა უნდა ესროლო. ჩვენ თავს ვიცავთ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში. მაგრამ ამასთან ვიმედოვნებ, რომ ისინი ვერასოდეს გაბედავენ თავდასხმას. ომის დაწყების მიზეზი არ არსებობს. რატომ უნდა დაგვესხან თავს?“

**მედიანიუსი**

## იმერეთის რეგიონის წარჩინებული მოსწავლეები მედლებით დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისს მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ და ქუთაისის მერმა გია თევდორაძემ „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, იმერეთის რეგიონის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცეს.

2010-2011 წლისათვის იმერეთის რეგიონში 150 ოქროსა და 198 ვერცხლიმედალოსანია. მედლების გადაცემა ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში განხორციელდა.

ნოდარ სურგულაძის განცხადებით, კარგი სწავლისთვის წარჩინებული მოსწავლეების მედლებით დაჯილდოება მათი შრომის დაფასება და პირველი დიდი წარმატებაა. წახალისების ეს ფორმა ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას და სწავლისადმი ინტერესს.

პრეზიდენტის ინიციატივით, მოსწავლეთა წახალისების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, “წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების“ ქვეპროგრამას რამდენიმე წელია ახორციელებს, მის ფარგლებში 2010-2011 წლისათვის 877 ოქროსა და 1122 ვერცხლის მედალი გაიცემა.

მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები “ეროვნული სასწავლო გეგმით“ რეგულირდება. 2010-2011 სასწავლო წლის წარჩინებით სკოლადამთავრებულებისათვის სახელობითი ოქროსა და ვერცხლის მედლები დამზადდა. სახელისა და გვარის გარდა მათზე შესაბამისი წელია მითითებული.

**მედიანიუსი**

## მელაანში აღმოჩენილი წარმართული სალოცავი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია

გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში, 3000 წლის წინანდელი წარმართული სამლოცველოს შესწავლის მიზნით, სპეციალისტები არქეოლოგიურ გათხრებს ერთ კვირაში დაიწყებენ. ისტორიკოს თამაზ მარკოზაშვილის თქმით, ვარაუდობენ, რომ ძეგლი მსოფლიო მნიშვნელობისაა.

— სალოცავი 1960-აინ წლებშია აღმოჩენილი, მაგრამ მაშინ შესწავლა ვერ მოხერხდა. ქარსაცავი ზოლის ქვეშ არის მოქცეული. რამდენიმე დღის წინ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გათხრების ნებართვა გასცა და სამუშაოები ერთ კვირაში დაიწყება. გათხრებს ცნობილი არქეოლოგი კიაზო ფიცხელაური უხელმძღვანელებს. სავარაუდოდ, ეს წარმართული სალოცავი, რომელიც რიყის ქვით არის ნაშენები და რომლის დიამეტრიც 80 მეტრს აღწევს, ომის ღვთაების სახელზეა აშენებული. სალოცავისთვის დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალაა შეწირული, — განაცხადა თამაზ მარკოზაშვილმა.

**მედიანიუსი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ფრანგული პარფიუმერული ფირმა; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. ტროპიკული ხილი; 9. სამეფო სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. მეფეთა ძვირფასი თავსამკაული, ხელისუფლების სიმბოლო; 6. ბიზანტიელ მწერალთა, ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ჭაობის მცენარე; 9. უბანი თბილისში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. ცხოველთა, ფრინველთა სადგომი ზოოპარკში; 13. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკულ ფარმაცევტული კომპანია; 18. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. ქართული ნაციონალური კერძი; 20. ობობასნაირთა ოჯახის შხამიანი ცხოველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პალერმო; 2. თხემი; 3. კოსტიოლი; 4. ბრუდერი; 5. შამპანური; 9. დივანი; 12. „კოპელია“; 14. უჯარმა; 15. ნოტა; 17. ჯამნა; 18. უშტი.

**თარაზულად:** 6. მარეხი; 7. კოტირება; 8. ბეშუმი; 10. „ჰერტა“; 11. როინაშვილი; 13. კულინანი; 16. კოტეჯი; 19. შპილმანი; 20. ჩანჩქერი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ანეტო; 5. ლიფსიტა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იმაგო.

**თარაზულად:** 1. „ჰეინიკენი“; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბულიტი; 10. ხოტი; 11. „სუფრული“; 13. „თეთრა“; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. მოციონი.

# ანჩელოტის პარიზში ეპატიჟებიან



იუვენტუსის, მილანისა და ჩელსის ყოფილი თავკაცი კარლო ანჩელოტი შეიძლება სამუშაოდ პარიზში გადავიდეს — აპენინელს პარი სენ-ჟერმენის გასაწვრთნელად ეპატიჟებიან.

ეკიპის ინფორმაციით, მას გუნდის ჩაბარება ლეონარდომ სამშაბათს პირადი შეხვედრისას შესთავაზა. საქმე ის არის, რომ პარიზული გრანდის მიერ საფრანგეთის ჩემპიონატში აღებული სტარტით, ყველა უკმაყოფილოა — გუნდმა ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აიღო. უკმაყოფილო არიან კლუბის ყატარელი ინვესტორებიც.

ლაპარაკი მთავარი მწვრთნელის, ანტუან კომბუარეს გუნდიდან გაშვებზე ჯერ კიდევ წინა სეზონის დასრულებამდე მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ყველასდა მოულოდნელად, კლუბმა ხელშეკრულება ორი წლით გაუგრძელა. ახალი კონტრაქტი მაისის ბოლოს, ლეონარდოს მოსვლამდე დაიდო. კლუბში ბრაზილიელი ახლა ყველაზე გავლენიანი მუშაკია და მის ნებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისთანავე იტალიურმა სპორტულმა ვებგვერდებმა დაწერეს, რომ პარიზულ კლუბში მოსალოდნელია ფეხბურთელთა გაფიცვა, რადგან ისინი მთავარი მწვრთნელის გადაყენებასა და მის ადგილას სწორედ კარლეტოს მოყვანას ითხოვენო.

**მ. ჟ.**

## დაუშვილი კარიერას „კარპატიში“ გააგრძელებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თამაშს უკლო. თუმცა, დაუშვილის დუბლებში გადაყვანის მთავარი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ზესტაფონელებთან კონტრაქტის გახანგრძლივება არ ისურვა და მოლაპარაკებები უკრაინულ კლუბთან წამოიწყო.

კარპატი საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელით, ასევე უკრაინული ოლექსანდრიას შემტევი ნახევარმცველით, დავით თარგამაძით არის დაინტერესებული.

ლვოველებს თარგამაძის დამატება 31 აგვისტომდე სურთ, ვიდრე საზაფხულო სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება. ოლექსანდრია ქართველ ფეხბურთელს, რომელიც 22 აგვისტოს 22 წლის ხდება, 2 მილიონ დოლარად აფასებს. კლუბებს შორის მოლაპარაკება დაწყებულია და თარგამაძე ამ პროცესის დასრულებას ელის.

შეგახსენებთ, რომ კარპატიში საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, სანდრო გურული თამაშობს. **მ. ჟ.**

## ნინია კაკაბაძე: რობერტ სტურუა ქსენოფობი რომ იყოს, ეს მის შემოქმედებაში ერთხელ მაინც გამოჩნდებოდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლად არის ტოლერანტი ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიმართ. თუმცა, ქსენოფობია არ არის არც ერთი ჩვენგანისთვის ძალიან უცხო, არავინ არ იბადება ტოლერანტად, ჩვენ ვიზრდებით და შემდეგ ვსწავლობთ, როგორ უნდა ვცეთ პატივის სხვას, საკუთარი თავის მსგავსად. ქსენოფობიური იდიომებისა და ფრაზებისგან გათავისუფლება არც ისე ადვილია, — აღნიშნა კინომცოდნემ.

რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ბრძანებას ხელს აწერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა.

ამასთან, ნიკა რურუამ განაცხადა, რომ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მის მიერ გამოთქმული "ეთნიკური მეტაფორების" გამო გათავისუფლდა.

— სახელმწიფო, რომელიც მოცემულობით არის მულტიეთნიკური და მულტიკულტურული, ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს ქსენოფობიას. ქსენოფობიაში იგულისხმება ის გამონათქვამები, ეთნიკური მეტაფორები, რომელსაც სტურუა იყენებდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს, — განაცხადა ნიკა რურუამ.

**ინტერპრესნიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ირაკლი სერებრიაკოვი, მირიან კარბელაშვილი, რძლები ელენე ბოტვინიკოვა, ირინა კარბელაშვილი, შვილიშვილები მადი, ლელა სერებრიაკოვები, ირაკლი კარბელაშვილი, გიორგი ბრუსოვანიკი, რძალი ლორენ ბრუსოვანიკი, სიძე რიჩარდ ლაქსი იუწყებიან

**მეგი დავითის ასულ კარბელაშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 19, 20 აგვისტოს, 16 საათზე;

დაკრძალვა: 21 აგვისტოს, 15 საათზე;

მისამართი: ბათუმის ქუჩა 27ა, II სადარბაზო, II სართული.

დეიდაშვილები სოსო, ლენა კვიციანები, ბიძაშვილიშვილები ზვიად, შუქური კვიციანები, ბექირბი, ანიკო, როენა დადეშქელიანები, რძლები მარინა ცქიტიშვილი, ეთერ ზურებიანი ოჯახებით იუწყებიან

**მეგი დავითის ასულ კარბელაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დისშვილები მადი, ია თაბაგარები, სიძეები თამაზ თაბაგარი, გოგიტა ბუხაიძე ოჯახებით იუწყებიან

**მეგი დავითის ასულ კარბელაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნორვეგიელი ტერორისტი უფრო მძლავრ აფეთქებას ამზადებდა

ნორვეგიელი ტერორისტი, ანდერს ბრეივიკი, რომელმაც 22 ივლისს ოსლოს ცენტრში ბომბი ააფეთქა, ხოლო კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდული ბანაკის სტუმრები დახოცა, კიდევ ერთ ტერაქტს ამზადებდა.

ნორვეგიული სამაუწყებლო კომპანია „ენ ერ ქეის“ თანახმად, ბრეივიკმა ორი ბომბი დაამზადა, თანაც მეორე პირველზე გაცილებით ძლიერი იყო.

მეორე ბომბი ბრეივიკის მიერ არენდირებულ ფერმაში აღმოაჩინეს, ოსლოდან 40 კმ-ის დაშორებით. მისი წონა 1-1.5 ტონას შეადგენდა. ოსლოში 22 ივლისს აფეთქებული ბომბის წონა 950 კგ იყო.



ამასთან დაკავშირებით გამოძიება ვარაუდობს, რომ ტერორისტი მეორე ბომბის აფეთქებას ნორვეგიის ერთ-ერთ ხალხმრავალ კვარტალში აპირებდა.

ბრეივიკის სახლში ნაპოვნი ასაფეთქებელი ნივთიერება უკვე განადგურებულია.

როგორც გაირკვა, 32 წლის მემარჯვენე რადიკალმა ექსტრემისტმა ფერმა ტერაქტამდე რამდენიმე თვით ადრე დაიქირავა. სასოფლო-სამეურნეო შესყიდვების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების თქმით, გარდა ამისა, ინტერნეტის საშუალებით ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ექვსი ტონა აზოტის სასუქები შეიძინა და მისგან, სავარაუდოდ, ბომბის დამზადება შეეძლო.

გარდა ამისა, გამოძიებამ გამოარკვია, რომ აშშ-ში მცხოვრებმა ბრიტანელმა ნორვეგიელს „იბეის“ აუქციონზე „ჰეზმეთის“ კომპლექტი მიჰყიდა, საჯარისო დამცველი კოსტიუმი, რომელსაც მაღალტოქსიკური ნივთიერებების გამოყენების კერაში მოხვედრისას იყენებდნენ.

სწორედ ამ კოსტიუმში გამოწყობილი ამზადებდა ბრეივიკი თავისი ბომბებისათვის ქიმიურ კომპონენტებს, რომლებიც, როგორც თავად განაცხადა, აზოტის სასუქებისაგან მიიღო.

22 ივლისს ნორვეგიაში ორმაგი ტერაქტი მოხდა, ჯერ ოსლოში, სამთავრობო შენობასთან მოხდა მძლავრი აფეთქება, რამდენიმე საათის შემდეგ კი პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდული ბანაკის მონაწილეთა ხოცვა დაიწყო.

ორი ტერაქტის შედეგად დაღუპულთა საერთო რიცხვმა 77 ადამიანი შეადგინა.

კუნძულზე საათ-ნახევრის შემდეგ მისულმა პოლიციამ ბრეივიკი დააპატიმრა, რომელმაც ყველაფერი აღიარა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბრეივიკი მემარჯვენე რადიკალურ შეხედულებებს იზიარებდა, აქციებს რამდენიმე წლის განმავლობაში ამზადებდა და თავისი მოსაზრებები ინტერნეტში ტერაქტებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოქვეყნებულ „მანიფესტში“ ჩამოაყალიბა.

როგორც ბრეივიკი ამტკიცებს, იგი ისლამისაგან ევროპის გადარჩენას ცდილობდა.

ამჟამად ბრეივიკი კამერაში მარტო იმყოფება. სასამართლომ 21 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მიუსაჯოს. მისი საქმის მორიგი განხილვა 19 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი. განიხილავენ ერთეულთა კამერაში ბრეივიკის კიდევ ოთხი კვირით დატოვების საკითხს.

ოსლოს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროცესი დახურულ რეჟიმში წარიმართება, რათა ბრეივიკს თავისი იდეების რეკლამირების საშუალება არ მიეცეს. გარდა ამისა, ტერორისტს პროცესზე მასონურ ფრაკში გამოცხადების ნება არ დართეს, როგორც ეს მას სურდა.

კვირას საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბრეივიკმა ნორვეგიელ პოლიციელებს აჩვენა, თუ როგორ ესროდა იგი 22 ივლისს ადამიანებს კუნძულზე. ნორვეგიის პოლიციამ ასევე განაცხადა, რომ კვლავაც გრძელდება ვიდეოკამერის ძებნა, რითაც, სავარაუდოდ, ბრეივიკმა კუნძულ უტოიაზე მოზარდების ხოცვა-ჟლეტა გადაიღო.

ნორვეგიელმა პროკურორმა პაალ-ფრედრიკ კრაბიმ განაცხადა, რომ ორმაგი ტერაქტის ჩადენამდე ანდერს ბრეივიკმა აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებები მიიღო.

# ახლად აღმოჩენილი თევზი „ცოცხალ ნამარხად“ გამოაცხადეს




წყნარი ოკეანის გამოქვაბულებში მობინადრე გველთევზა, თავისი პრიმიტიული აგებულების გამო, „ცოცხალ ნამარხად“ გამოაცხადეს.

როგორც ვარაუდობენ, იგი დინოზავრების თანამედროვე იყო.

იგი იმდენად უჩვეულო არსება აღმოჩნდა, რომ იხტიოლოგებმა მისი კლასიფიკაციისათვის სპეციალური ოჯახი შექმნეს.

ამერიკელ, იაპონელ და პალაუს მეცნიერების ჯგუფს მიაჩიათ, რომ ამ არსებისათვის დამახასიათებელი თვისებები დამოუკიდებელი ევოლუციის ხანგრძლივ პერიოდზე მიანიშნებს, რომელიც, სავარაუდოდ, 200 მილიონი წელი გრძელდება.

შესაბამისი სტატია ჟურნალმა „როიალ სოუსაითი ბაიოლოჯიმ“ გამოაქვეყნა.

მეცნიერებმა თევზის ერთ-ერთი, ძუ ეგზემპლარი პალაუს რესპუბლიკაში 35 მ-ის სიღრმეზე გამოქვაბულში დაიჭირეს.

მეცნიერები თავდაპირველად მის კლასიფიცირებას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი ძალიან პრიმიტიულ გველთევზებს განეკუთვნებიან.

მეცნიერების აზრით, ეს თევზი ზოგიერთ ნამარხ გველთევზაზე უფრო პრიმიტიულია, ამიტომ „ცოცხალ ნამარხად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან „პალეონგოლოგიური ისტორია“ არ გააჩნიათ.

იაპონელმა მეცნიერებმა გველთევზების კლასიფიკაციის სქემა შეადგინეს, რის შედეგად დაასკვნეს, რომ ახლად აღმოჩენილი სახეობა სხვებისაგან დამოუკიდებლად უკანასკნელი 200 მილიონი წლის განმავლობაში ვითარდებოდა, ანუ ადრეული დინოზავრების თანამედროვეები არიან, რომლებიც მეზოზოურ ერაში პლანეტაზე იწყებდნენ გავრცელებას.

მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ამ ოჯახის წარმომადგენლები წარსულში უფრო ფართოდ იყვნენ გავრცელებული, რადგან წყალქვეშა ქედი, სადაც გამოქვაბულები მდებარეობს, 60-70 მილიონი წლის წინ ჩამოყალიბდა.

# სირიის მთავრობამ სამხედრო ოპერაციები შეწყვიტა




სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა გაეროს გენერალურ მდივან პან გი მუნს აცნობა, რომ სირიის არმიამ ანტისამთავრობო დემონსტრაციების მონაწილეთა წინააღმდეგ მიმართული ძალისმიერი აქციები შეწყვიტა.

გაეროს ოფიციალური წარმომადგენლების თქმით, ასადთან სატელეფონო საუბრის დროს გაეროს გენერალურმა მდივანმა საომარი მოქმედებებისა და მასობრივი დაკავებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა.

მასობრივი ანტისამთავრობო გამოსვლები სირიაში მიმდინარე წლის მარტში დაიწყო. უშიშროების ძალების თანამშრომლებმა ასობით დემონსტრანტი დახოცეს. გამოსვლების ჩახშობის მიზნით იყენებდნენ მძიმე ტექნიკასა და საზღვაო ხომალდების არტილერიასაც კი.

ბოლო დროს მსხვილი სამხედრო ოპერაცია საპორტო ქალაქ ლაკატიაში გაიმართა. შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, 5 ათასამდე პალესტინელი ლტოლვილი იძულებული გახდა, ბანაკები დაეტოვებინა.

დემონსტრანტების წინააღმდეგ სირიის მთავრობის მოქმედებამ საერთაშორისო საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია.

დამასკოდან თავიანთი ელჩები გაიწვიეს საუდის არაბეთმა, ბაჰრეინმა, კუვეიტმა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საპროტესტო აქციების ძალისმიერ ჩახშობას დაუშვებელი უწოდა. აშშ-მ, თავის მხრივ, სირიას სანქციები დაუწესა და სხვა ქვეყნებს მოუწოდა, მისი მაგალითისათვის მიებაძათ.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების პასუხად პრეზიდენტი ბაშარ ასადი მოსახლეობას პოლიტიკური რეფორმების გატარებას დაჰპირდა, თუმცა, აღნიშნა, რომ მთავრობა ტერორისტული ჯგუფების დევნას გააგრძელებდა.

დემონსტრაციების ორგანიზებას ასადი სწორედ ამ ჯგუფებს მიაწერს.

მოამზადა გენადი თვაურიძე

## TV პროგრამა

**პარასკევი 19 აგვისტო**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "ჩავარდნა: მორიგი დიდი დეპრესია" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** მხ. ფილმი "**ლესი**" **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **13.30** ავტოპილოტი **14.30** ვაშინგტონი დღეს **15.00** დოკ. ფილმი "ჩავარდნა: მორიგი დიდი დეპრესია" **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "სამყარო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერიალი "**კრიმინალური სეზონი**" **22.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი "**ძმები ვიტმანები**" (**12**) (სუბტ.) **01.50** მოამბე **02.10** მხ. ფილმი "**ქალების მაამებელი**" (**18**) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი "**ნაპირიდან ნაპირამდე**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "მილიონერები" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი" **20.00** მხ. ფილმი "**ხმაურიანი გაძევება**" **01.00** მხ. ფილმი "**პარანოია**"

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერიალი "**მიმწუხრდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. "**მაშველები**" **13.30** ქართ. ფილმი "**უდიპლომო სასიძო**" **15.40** პროფილი (გან.) **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერიალი "**ახალგაზრდა ქვრივი**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ (გან.) **23.00** თქვენი შოუ (გან.) **00.00** მელომანია (გან.) **01.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **09.15** ან. ფილმი "სპანჯბობი" **1**-ლი ს. **09.40** სერიალი "**ჰანა მონტანა**" **1**-ლი ს. **10.00** სერიალი "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერიალი "**სიყვარულის ზღვა**" **12.50** სერ. "**ფული და სექსი**" **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** უცნობი საქართველო **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერიალი "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერიალი "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერიალი "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** იუმორინა (გან.) **00.00** მხ. ფილმი "**ვიკინგები**" (კ. დაგლასი) (სუბტ.) **02.00** ფლეიბოი იმედზე **02.55** მხ. ფილმი "**კონტროლი**" (**12**) (რ. ლიოტა) (სუბტ.) **04.35** მხ. ფილმი "**პირდაპირი მოქმედება**" (**12**) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00, 13.00, 19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი "**ფანტაზიების კუნძული**" **14.30** სერიალი "**ტყუპები**" **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **20.00** სერიალი "**ელიზა დი რივერმბროზა**" **21.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** "მზის სახლი" – საუკეთესო მომენტები **23.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერიალი "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.30** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი "**წყნარი ოეანის მარგალიტი**" **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერიალი "**მეგობრები**" **15.15** სერიალი "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

0830"დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ჭიდაობას რა უნდა**" **13.30** კონცერტი – თეატრალური კვარტეტი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**წუთისოფელი**" **17.30** დოკ. ფილმი "ფთილა" **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი "**მოიტაცეს თამარ ქალი**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** ფერისცვალება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.45** დოკ. ფილმი "ფერისცვალება" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განთიადის კოლაჟი **01.25** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 აგვისტო

აშშ დოლარი — 1,655

ევრო —2,3691

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7259

რუსული რუბლი — 0,0582

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 24-32, ღამით — 15-18

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-28, ღამით — 15-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა წვიმა, დღისით — 24-26, ღამით — 11-15

## ამინდის პროგნოზი 19 აგვისტოსთვის




# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **ფასი: 69 თეთრი**

# გუმბათი

დიმა ტატიშვილი:
**„სიკვდილს გარდაცვლილმა მშობლებმა გადამარჩინეს“**

ირმა სოხაძე:
**„იაპონიაში ჩაძირვას გადავურჩით“**

თემურ რცხილაძე:
**„ჩემი ძმის გამოჯანმრთელება სასწაულია ყველაფერს გააკეთებს“**




## დაუშვილი კარიერას „კარპატიში“ გააგრძელებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი მურთაზ დაუშვილი მიმდინარე წლის დეკემბრიდან კარიერას უკრაინის პრემიერლიგის კლუბ ლვოვის □„კარპატიში“ გააგრძელებს.

უკვე დადასტურებული ინფორმაციაა, რომ 22 წლის ფეხბურთელმა კარპატისთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დაუშვილი ლვოველთა რიგებში 88-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, რომელიც მას კლუბის გენერალურმა დირექტორმა იგორ დედიშინმა გადასცა.

დაუშვილი „ზესტაფონში“ 2005 წლიდან გამოდის. ამჟამად, ის დუბლშემადგენობაში ვარჯიშობს და იმერული კლუბის ვერსიით, კლუბმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ ფეხბურთელმა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



— როგორ გაჭირდა ცხოვრება, ავტოსადგომებიც კი აღარ გვყოფნის...

* * *

— რა კარგი ბიჭი გვყავს, — ამბობს ქმარი, — ჭკვიანი, ლამაზი, ნეტავი ვის დაემსგავსა? ალბათ, მე!

— გამორიცხული არ არის, — პასუხობს ცოლი...

* * *

პატარა ბიჭს ეკითხებიან:

— ექვსი ვაშლი გაქვს, ნახევარი ძმას მიეცი, შენ რამდენი დაგრჩება?

— ხუთ-ნახევარი...

* * *

— დაახველეთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.

პაციენტმა დაახველა.

— თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ, — ეუბნება ექიმი, — ოღონდ, უფრო ძლიერ.

პაციენტმა, რაც შეეძლო, ხმამაღლა ხველა დაიწყო.

— გასაგებია, — თავი გადააქნია ექიმმა, — ხველის ასეთი შეტევები ხშირად გემართებათ?

* * *

— ის, ვინც ამტკიცებს, რომ კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს, ტურისტულ ლაშქრობაში ალბათ არასდროს ყოფილა...

* * *

— მახათი კიდევ გჭირდება?

— არა, ახლა იოდი და ბინტი მჭირდება...

## ნინია კაკაბაძე: რობერტ სტურუა ქსენოფობი რომ იყოს, ეს მის შემოქმედებაში ერთხელ მაინც გამოჩნდებოდა

კინომცოდნე ნინია კაკაბაძის აზრით, რობერტ სტურუა ქსენოფობი რომ იყოს, ეს მის შემოქმედებაში ერთხელ, მკრთალად მაინც გამოჩნდებოდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კაკაბაძემ განუცხადა, სტურუას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გათავისუფლებით გაჩნდა ეჭვი, რომ რეჟისორი არამარტო ქსენოფობიურ განცხადებებს, არამედ



ხელისუფლებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას შეეწირა.

— რობერტ სტურუა ქსენოფობი რომ იყოს, ეს მის შემოქმედებაში ერთხელ, მკრთალად მაინც გამოჩნდებოდა. მან, უბრალოდ, პროვოცირება მოახდინა ამ ამბის და ახალი სპექტაკლი დადგა. ჩნდება ეჭვი, რომ რობერტ სტურუა არა მარტო ქსენოფობიური განცხადებების გამო გაუშვეს თანამდებობიდან, არამედ იმის გამო, რომ არის ამ ხელისუფლების რადიკალური კრიტიკოსი. ასეთი ტიპის განცხადება არაერთხელ მოგვისმენია არაერთი საჯარო პირისგან, მაგრამ მაშინვე არავინ არ დასჯილა. გაგახსენებთ დეპუტატ ბესო ჯუღელთან დაკავშირებულ ფაქტს, რომელმაც ქსონოფობიური განცხადება სწორედ სომხების შესახებ გააკეთა. ხელისუფლების მხრიდან ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ბუნებრივია, ეჭვი ჩნდება, მაგრამ, სამწუხაროდ, რობერტ სტურუამ ჩვენ არ დაგვიტოვა იმის საშუალება, რომ მისი უფლებები მეტად დაგვეცვა, ვინაიდან მართლაც გააკეთა ასეთი განცხადებები და დღემდე არც იმას ამბობს, რომ იხუმრა ან რაღაც ამბის პროვოცირება მოახდინა, — აღნიშნა კაკაბაძემ.

ქსენოფობიური განცხადებების გაკეთების მიუხედავად, კაკაბაძეს სჯერა, რომ არც ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია ქსენოფობი.

— ისევე, როგორც მჯერა, რომ სტურუა არ არის ქსენოფობი, ასევეა მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებითაც... ის ნამდვი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 19 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
**ეს დღე მშვიდად ჩაივლის**

**ვერძი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. **კურო** — მშვიდი დღეა, თავს კარგად გრძნობთ. **ტყუპები** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ჰარმონიული დღეა, თქვენს საქმეს ადვილად გაუძლვებით. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — თქვენ უკვე იცით, რა არის თქვენთვის მთავარი. **მორიელი**[ ] **ღრიანკალი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მეგობრები გეხმარებიან. **მშვილდოსანი** — ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — საჩუქარი მოგეწონებათ, ამაღლებული განწყობა არ გტოვებთ. **მერწყული** — მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისაგან. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იტალიური პელმენი; 2. ბაღჩეული კულტურა, გრძელყელიანი გოგრა; 3. ფილატელისტის ალბომი; 4. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ინგლისელი ფიზიკოსი; 5. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 12. რაიმე ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 15. შაქრის ლერწმისგან მომზადებული სპირტიანი სასმელი; 17. რაიმეს ზღუდე, ზღვარი; 18. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს თხელი ფენა; 7. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 8. ფულის ერთეული ერაყში; 10. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 11. ატლანტის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის დამაკავშირებელი სრუტე; 13. საცხენოსნო სარბიელი; 16. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 20. მხედველობის მოშლა, რომლის დროსაც საგნები ორად ეჩვენებათ.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## თქვენი დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ

ტესტი



***1. მიგაჩნიათ თუ არა კრიტიკა ხარვეზების აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებად?***

ა. დიახ. ბ. კრიტიკა მხოლოდ ართულებს ურთიერთობებს. გ. კრიტიკა დასაშვებია, ოღონდ ხანდახან.

***2. თქვენი დამოკიდებულება საჯარო კრიტიკის მიმართ:***

ა. აუცილებელია. ბ. საჯარო კრიტიკას პირადი შეხვედრისას შენიშვნებს ვამჯობინებ. გ. „კულუარულ“ კრიტიკას ვამჯობინებ.

***3. შეიძლება თუ არა ხელმძღვანელობის გაკრიტიკება?***

ა. დიახ. ბ. არ ღირს ხელმძღვანელის ავტორიტეტის შელახვა. გ. შეიძლება, მაგრამ იშვიათად.

***4. კრიტიკული შენიშვნებისას თუ ცდილობთ მის „დატკბობას“ დადებითი მომენტების აღნიშვნით?***

ა. დიახ. ბ. არა, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. გ. თუ ცუდად იცნობთ კრიტიკის ობიექტს, მხოლოდ მაშინ.

***5. თუ ცდილობთ კრიტიკის დოზირებას?***

ა. მხოლოდ ერთ ნაკლს აკრიტიკებთ. ბ. აკრიტიკებთ ყველაფერს, რაც, თქვენი აზრით, გასაკრიტიკებელია. გ. ცდილობთ, განსახილველი საკითხით შემოიფარგლოთ.

***6. გაღიზიანებთ თუ არა კრიტიკა?***

ა. დიახ. ბ. არა. გ. გააჩნია, ვინ მაკრიტიკებს.

**პასუხები შეაფასეთ: ა. 1 — ქულა. ბ. 2 — ქულა. გ. 3 — ქულა.**

**6-10 ქულა:** კრიტიკა პროფესიული საქმიანობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად მიგაჩნიათ. ყოველთვის ცდილობთ თქვენი საქმიანობის შესახებ კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებას და მათგან „რაციონალური მარცვლის“ გამოყოფას.

**11-14 ქულა:** კრიტიკისადმი შემწყნარებლობას იჩენთ, მისაღებ ელემენტად მიგაჩნიათ, თუმცა, არც მის მნიშვნელობას აფასებთ გადაჭარბებით. თქვენი კრიტიკული გამოსვლები შეიძლება შევაფასოთ, როგორც კონტროლირებადი ემოციურობა.

**15-18 ქულა:** თქვენი დამოკიდებულება კრიტიკისადმი უარყოფითია. არ გიყვართ, როდესაც გაკრიტიკებენ, ხოლო როდესაც სხვებს აკრიტიკებთ, ზომიერება გღალატობთ.

**გ. თ.**